კვალი

X. ყოველკვირეული გაზეთი. X.

№ 45 კვირა, 3 ნოემბერი 1902 წლისა. № 45

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სასახლის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція «КВАЛИ».

შინაარსი: კიდევ ერთ ჯერ, დ. კოლხიდელისა.—სხვა და სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—შინაური მიმოხილვა.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—კლემანსოს სიტყვა.—შაჰ-აბაზის დროს ლექ. გ. გოგოლაძისა.—სასამართლოში, მოთ. დ. ჯ—შვილისა.—წერილი ბათომიდან, გ. ნატოშვილისა.—მიდ. მოკლ. ძირ. თეისებანი, ი. გომართელისა.—ლიტ. და ეკონ. პირ.—თეატრი.—წერ. რედ. მიმ.—განცხადებანი.

კიდევ ერთ ჯერ.*)

მრავალმა საუკუნეებმა განვლო მას შემდეგ, რაც სომხები ჩამოესახლნენ საქართველოში. აქ სომხობის ერთმა ნაწილმა ვაჭრობას მიყო ხელი; ქართველები ამ დროს მტრებთან თითქმის განუწყვეტელი ომების ვარჯიშობდა მხოლოთ ხმლის ქნევაში, სომხობა კი აღლისაში. მართალია, სომხები ძალიან გაიწაფნენ ვაჭრობაში და მათ ხელში დიდი სიმდიდრეც მოგროვდა.

საქართველოში სომხობამ თითქმის იგივე როლი აიღო ისტორიამ, როგორიც ებრაელებს მთელ განათლებულ კაცობრიობის ცხოვრებაში. ებრაელები ვაჭრობის ასპარეზზე უფრო ადრე გამოვიდნენ და მათი ასპარეზიც მთელი დედამიწის ზურგია. მაგრამ მსგავსება ებრაელთა და სომეხთა შორის დიდია. როგორც ებრაელებმა ევროპაში, ისე სომხებმა საქართველოში სხვებზე ადრე წამოაყენეს თავის წრიდან ჩარჩები და ვაჭრები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში სუქდებოდნენ სხვისი ქონების მექთათ ხელში ჩაგდებით და სხვისი შრომით. რასაკვირველია, ცხოვრების პირობებმა აიძულა ებრაელებიც და სომხებიც დადგომოდნენ ამ გზას. კარგათ ვიცით, რომ თანამედროვე კაპიტალისტების წინაპრები თავის-თავს ბედნიერათ არ რაცხდნენ და მათ მაშინდელი თავად-აზნაურობა ათასგვარ შეურაცხყოფას აყენებდა. თანამედროვე კაპიტალისტების წინაპრების საზოგადოებრივი მდგომარეობა, ვიმეორებ, არ იყო სახარბიელო. მაშასადამე ძველ დროში ვაჭრობას, წარმოებას ხელს კიდებდნენ ისინი, ვისაც ცხოვრება იძულებულ ყოფდა ამ გზით ეძებნა ცხოვრების სახსარი.

მიუხედავათ ამ ისტორიულ აშკარა ფაქტისა, ჩარჩ-ვაჭარს მისი მსვერპლი წყევლა-კრულვით იხსენიებს; როგორც მაღალი, ისე დაბალი წოდება ფულიანი არისტოკრატიისადმი ერთნაირი სიძულვილითა არის გამსჭვალული. ეს ასეც უნდა იყოს რადგან ჩარჩ-ვაჭარი არღვევს მათ მყუდროებას და ძირს უთხრის მათი (მაღალ-დაბალი წოდების) დამოუკიდებელ ცხოვრებას. მისი ზრდა-გაძლიერება პირველის (მაღლ-წოდების) პოლიტიკურათ და ორივესი (მაღალი და დაბალ წოდების) ეკონომიურათ დასუსტების ნიშანია და, თუ გნებავთ, მიზეზიც.

აი, სწორეთ ამ ჩარჩ-ვაჭარის როლი ერგო სომხობის ერთ ნაწილს. სომხობა ისეთ დროს ჩაეჩხირა ქართველებში, როდესაც ამ უკანასკნელებს ქართველი ჩარჩ-ვაჭარი ჯერ კიდევ ვერ წამოუყენებია და შემდეგ კი, როდესაც სომხებთა ჩარჩ-ვაჭრები გაჩნდა საქართველოში, გვიანღა იყო.. ქართველი ჩარჩ-ვაჭარი ჯერ ვერ უწევს სომეხს ქიშპობას. ეს გარემოება ქართველ ნორჩ წვრილ ბურჟუაზიის გულში ბადებს შურს.

მათ შორის შური, მტრობა, სიძულვილი ეროვნულ ნიადაგზე კი არაა წარმომდგარი, არა; ეს არის მტრობა წვრილი და მსხვილი ბურჟუაზიის შორის; ეს არის შური სუსტისა ძლიერისამდი, მაგრამ იმ სუსტისა, რომელსაც იგივე იდეალი დაუხატავს თავის დროშაზე, რომელსაც დიდი ხანია ძლიერი ერთგულათ ემსახურება. მათ შორის მტრობა ეროვნული არაა, როგორც არაა ეროვნული ნაციონალისტებსა და რადიკალებს შორის ბრძოლა საფრანგეთში. ქართველი წვრილი ნორჩი ბურჟუაზია, რომელსაც ჯერ კიდევ ფეხი ვერ აუდგამს, შურით უყურებს დავაჟკაცებულ სომხის ბურჟუაზიას. მაგრამ განა მარტო სუსტი უყურებს ძლიერს მტრულათ! დღეს ძლიერიც ძლიერს მტრობს. ასეთია თვისება ინდივიდუალისტურ წარმოებისა, მეურნეობისა. ორი ერის ბურჟუაზიათა შორის მტრობა მხოლოთ გართულებული შედეგია უბრალო პრინციპისა...

სომხის ბურჟუაზიამ ან როგორ არ უნდა გამოიწვიოს მტრობა და სიძულვილი ქართველებში, როდესაც მთელი ერის ქონება ლამის ხელით იგდოს! „განა ჩრდ.-ამ. შეერთებულ შტატებში ტრესტების წარმომადგენელნი არ იწვევს გაოცებულ წინააღმდეგობას შედარებით წვრილ კაპიტალისტების მხრივ!.. „ყველა ყველას წინააღმდეგ“—აი თანამედროვე

*) იხ. „კვ.“ № 44.

საზოგადოების პრინციპი და წვრილი და მსხვილი ბურჟუა ხომ ჭეშმარიტი გამომხატველია ამ პრინციპისა...

*
* *

დღეს ჩვენი ძველი და არც ისე ძველი სატახტო ქალაქი სომხების ბურჟუაზიის ხელთ უპყრია; მას ხელთ უპყრია, როგორც ქალაქის სიმდიდრე, ისე მისი გამგეობაც და ეს სომხების ბურჟუაზია იჩენს „ჩვეულებრივ" პატრიოტობას. ეს პატრიოტება იმაში იხატება, რომ სომეხი-ბურჟუა ყოველგვარ მოხელეებათ და მუშებათ სომხებს იყენებს. მაგრამ სომხების ბურჟუაზიის ამგვარ საქციელში მხოლოდ მოკლე ჭკუის ადამიანი დაინახავს მაღალი გრძნობების, წმიდა იდეალის და სხვა გონების და სულის კეთილ-შობილურ თვისებათა გამოვლენას. არა, აქ სხვა ძალა, სხვა მოსაზრებაა მიზეზი. ეს ძალა, მოსაზრება—უბრალო და ადვილათ გასაგებია...

პირველი და უმთავრესი არის ის, რომ სომხობა—ხალხი (განსაკუთრებით ისინი, რომელნიც საქართველოში არ სახლობენ) კულტურით ქართველ ხალხზე დაბლა დგას, ნაკლები მოთხოვნილება აქვს და უფრო ცოტათი კმაყოფილდება, უფრო ცოტა ქირაზე ჯერდება. მაშასადამე, როდესაც ქართველ მუშას ისტუმრებს და მის ალაგას სათათრეთიდან ან ანატოლიის სხვა კუთხეებიდან ჩამოსულ სომეხს იყენებს—მაშინ სომეხი-ბურჟუა ზრუნავს თავის ჯიბის გასქელებაზე და არა პატრიოტული გრძნობით ხელმძღვანელობს.

სომეხ-კაპიტალისტის პატრიოტობას *) იგივე მოსაზრება-გრძნობა უძევს საფუძვლათ, რომელიც უკარნახებს ჩრდ. ამ. შეერთებულ-შტატების, შვეიცარიის ან საფრანგეთის მექარხნეებს თავიანთი თანა-მემამულეები გააგდონ და მათ სამაგიეროთ ჩინელები და იტალიელები აიყვანონ. განსხვავება აქ ფორმალურია და არა პრინციპიალური. ჩრდ. ამერ. შეერთებულ-შტატების, შვეიცარიის და საფრანგეთის მექარხნეები იმიტომ დევნიან თანა-მემამულეებს და სამაგიეროთ უცხო ერის ხალხს იმიტომ აძლევენ ადგილს, რომ თანა-მემამულეები კულტურით უფრო მაღლა დგანან, ვინემ უცხოელები: უცხოელები უფრო ცოტა ჯამაგირით კმაყოფილდებიან და მოქალაქური თავმოყვარეობაც მათში სუსტია... **)

სომეხ-კაპიტალისტიც ასე იქცევა. რადგან კულტურულათ სომხობა—ხალხი ქართველებზე უფრო დაბლა დგას, სომეხ-კაპიტალისტიც თავის მემამულეს აძლევს სამუშაოს და მით თავს პატრიოტათ მოაქვს. სომეხი ბურჟუა ფულს და სახელს ამნაირათ იხვეჭს. ამ შემთხვევაში ფულს პატრიოტის სახელი მზითევათ მოყვება. მაგრამ დღეს ზნე-ჩვეულება სწრაფათ იცვლება, მოთხოვნილებებიც არა ნაკლები სიჩქარით იზრდება და მაშასადამე მალე დადგება ჟამი, როდესაც სომეხი-ხალხიც შეეჩვევა თანამედროვე კულტურულ პირობებს და მაშინ კი გამოჩნდება აშკარათ როგორი პატრიოტები ბრძანდებიან მექარხნე სომხები. მაშინ პატრიოტობა მათ ჯიბეს ვერ გაასქელებს და ისინიც გალიბერალდებიან, გაკოსმოპოლიტდებიან და მოიწვევენ სპარსელ ან კიდევ სხვა ერის ხალხს... ეგ ჩვეულებრივი მოვლენაა და, რასაკვირველია, ეს ასე მოხდება. ამ ჯურის ვაჟბატონების „პატრიოტობას" მოკლე ფეხი აქვს. პატრიოტობა ფულს არ იძლევა—მაშ ჩქარა კოსმოპოლიტობა! თუ ამანაც მოჭამა თავისი დრო, მაშინ...

მაგრამ ჯერ ის დრო შორსაა და ძნელია ეხლავე იმისი გათვალისწინება, თუ რას ითვალთმაქცებენ ისინი [illegible]

ვაჭარ-სომხობის პატრიოტობა ვიწრო [illegible] წყდეული და მას არც ხანგრძლივი სიცოცხლე აქვს. მის პატრიოტიზმი ჯიბის ან კუჭის პატრიოტიზმია. ნუ დავივიწყებთ, რომ მდიდრები ღარიბებზე უფრო ზრუნავენ კუჭის იითხვაზე და იდეალურ მისწრაფებას და გრძნობას მათ ცხოვრებაში თან და თან უფრო ცოტა ადგილი უჭირავს.

ასეთია ამ ჯურის სომხობის პატრიოტობა. მაშ არის სომეხი და სომეხი. მოწინავე შეგნებული ქართველებმაც უნდა გაარჩიოს ერთ მეორისაგან ეს ორი სომეხი. ჩვენი გონების თვალთ ისარი არ უნდა მიეყინოს ცხოვრების ერთ მომენტზე; საჭიროა თვალი გადავავლოთ ბევრ მომენტებს და მხოლოთ შემდეგ დავდოთ მსჯავრი.

გავიხსენოთ ბურებთან ომი. განა ბურებთან ბრძოლის დროს ყველა ინგლისელი იყო მსურველი ბურების თავისუფლების მოსპობისა! განა შიგ ინგლისში არ გაისმოდა მეორე **დაჩაგრული ინგლისელის** ხმა, რომელიც გმობდა ჩემბერლენს, ინგლისელ მსხვილ ბურჟუაზიის წარმომადგენელს, და ძმური თანაგრძნობას უცხადებდა **დაჩაგრულ ერს**! ეს იყო ხმა ინგლისელი... ინგლისელი კაპიტალისტთა ინტერესების წინააღმდეგ და უცხო სუსტი ერის თავისუფლების დასაცველათ.

ასეა ყოველგან. ჩვენც სომხობაში უნდა გავარჩიოთ ერთ მეორისაგან სომეხი-ვაჭარი-ჩარჩი და სომეხი-ხალხი. მათ შორის, როგორც ზევით ვთქვი, არის მხოლოთ დროებითი ერთობა, კავშირი და ამ ვითომ პატრიოტულ ერთობას მალე მოეღება ბოლო. მაშინ, ჰო, მაშინ მტრები დაძმობილდებიან და ძმები გაიყრებიან...

დ. კილაიდელი.

(შემდეგი იქნება).

---

*) რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ ზოგიერთი პირი მართლაც არა მატერიალური მოსაზრებით ხელმძღვანელობდეს, მაგრამ ეს კერძო შემთხვევაა, გამონაკლისია და არა საერთო ფსიხოლოგიის დამახასიათებელი.
დ. კ.

**) ამ უკანასკნელ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ცხოვრებაში და ამ ფსიხოლოგიურ მდგომარეობაზე ააშენეს დღეს მთელი სისტემა, რომლითაც შვენივრათ სარგებლობს ბურჟუაზიული საზოგადოება.
დ. კ.

სხვა-და-სხვა ამბები.

29 ოქტომბერს კრება ქონდათ „თფილისსა და თფილისის გუბერნიაში სახალხო კითხვათა გამმართველ საზოგადოების" დამფუძნებელთ. კრებაზე, რომელსაც 12 კაცი დაესწრო, არჩეულ იქმნენ: გამგეობის თავმჯდომარეთ—ექ. ხუდადოვი, თავმჯდომარის ამხანაგათ—ივ. ივ. პლამენევსკი, ხაზინადრათ—ა. ლ. კოზლოვი, მდივნათ—ქ-ნი ტიხომიროვისა, გამგეობის წევრებათ—ქ-ნი შტეინისა, ვასილიევისა და ჩალენკოვისა. გამგეობის წევრების კანდიდატები და სარევიზიო კომისიის წევრები უნდა აირჩიოს საზოგადო კრებამ, რომელიც მოკლე ხანში იქნება მოწვეული.

როგორც შევიტყეთ, ამერიკელ კაპიტალისტებს განუზრახავთ კახეთში რკინის გზის გაყვანა. ამას წინათ ჩამოვიდა ტფილისში ერთი ამერიკელი, წარმომადგენელი ამ კაპიტალისტებისა. ამერიკელი უკვე წასულა კახეთში ადგილ მდებარეობის დასათვალიერებლათ. გზის მიმართულებას ამერიკელი თიონეთზე ამჯობინებს.

უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობას გამოსცეს ჟურნალი ამ სათაურით: «Вѣстникъ Закавказ. Желѣз. Дорогъ».

სწავლა-განათლების სამინისტროს ნება დაურთავს ქალაქისათვის, ერთ-ერთს თავისს სკოლას რუსის პოეტის ჟუკოვსკის სახელი უწოდოს და ამ პოეტის სურათიც დაკიდოს იმ სკოლაში.

გუბერნატორს მოუთხოვნია ქალაქის მოურავის მოადგილისაგან, ჩქარა წარმოუდგინეთ ცნობები ნაძალადევში

მცხოვრებთა საჩივრის გამო ადგილებრივ შესყიდვის შესახებაო.

სამეურნეო საზოგადოების სკოლების მინდობილობით ბ-ნმა სულთან-კრიმ-გირეიმ და ნატროშვილმა შეადგინეს მოხსენება სახალხო სკოლებში სამშობლოს ენის სწავლების შესახებ. ეს მოხსენება სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ხელშია ამ ჟამათ.

ამ წელს ქუთაისის მაზრიდან ჯარში გაწვეულ იქმნა 760 ახალგაზდა კაცი.

ქუთაისის საგუბერნიო საჭლაქო საქმეთა საკრებულომ დაავალა ქალაქის მოურავს ბ. ა. ლორთქიფანიძეს, პასუხის გებაში მისცეს ის 11 ამომრჩეველი, რომელთაც უფლება არ ქონდათ ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

როგორც შევიტყეთ, ამბალეს მთავრობას გადაუწყვეტია ამიერ-კავკასიაში სამკურნალო საქმე გააუმჯობესოს. აზრათა აქვთ თითო მაზრაში ორ-ორი სასოფლო-სამკურნალო დააარსონ და ორ-ორი სოფლებრივი ადგილი მოაწყონ. ამ ჟამათ სასოფლო მკურნალობის საჭიროებისათვის ამიერ-კავკასიაში იხარჯება 214,000 მანეთი; ახალის გეგმით კი დაიხარჯება 920,000 მანეთი.

„ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა სთხოვს ჩვენს redakciას, მოვაგონოთ, „საზოგადოების“ წევრებს, რომ ვინც ჯერ-ჯერობით გამგეობას საწევრო ფული. ამ თორის თვის წინათ, როგორც გვქონდა აღნიშნული 1000-ზეგრში მხოლოთ 90 კაცს აქვს საწევრო ფული წარდგენილი.

ქუთაისის ნოქრებმა მიმართეს ქალაქის საბჭოს: „რადგანაც კვირა-უქმე დღეებშიაც თითქმის ისე გვამუშავებენ, როგორც საქმე-დღეებში, ამისათვის გთხოვთ, რომ კვირა დღეებში მთლათ დაკეტილი იყოს მაღაზიები“.

ჯერ კიდევ ზაფხულს დაათვალიერა ქალაქის ექიმმა-ქალმა შჩერბინინამ მე-6 უბანში საპნის ქარხნები და დიდი უსუფთაობა აღმოაჩინა იქ. ზოგს დაუხურეს ამის გამო ქარხანა, ზოგსაც ვადა მისცეს, უსუფთაობა მოესპოთ და შენობებიც შეეკეთებინათ. ქალაქის გამგეობამ ახლა ტექნიკოსს დაავალა, დაათვალიერე ქარხნები და წარმოგვიდგინე იმათი მდგომარეობის ამბავი.

ჭიათურიდან გვწერენ: შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოსთან სტატისტიკური ბიურო არსებობს, რომელსაც ბევრი რამ აკლია: არა აქვს ნამდვილი ცნობები იმის შესახებ, თუ რა დროს რამდენი მუშაა მადნებში, რამდენი ჩალავადარი მუშაობს, სადაურებია იგინი და რამდენია მცირე წლოვანი, რამდენია დედათა სქესის, რომელი ეროვნებისაა, რამდენი ფუთი ქვა გადმოდის საწყობებზე და ბევრი სხვა კითხვები, რომელზედაც დღეს სტატისტიკურ ბიუროს არავითარი გადაწყვეტილი პასუხი არ შეუძლია მოგვცეს. ბიურო იწერს დამზადებულ ცნობებს მხოლოთ რკინის გზის სამართველოსგან, სადამოწმო კანცელარიიდან და მარგანეცის კომიტეტიდან; ეს ცნობები მხოლოთ იმას შეეხებიან თუ რამდენი ფუთი მარგანეცი რომელ ქვეყანაში გადადის და რამდენი ორთქლმავალი მუშაობს ჭიათურის ტოტზე. ამას წინათ საბჭომ განიზრახა ყოველივე ცნობები ადგილობრივ შეეკრიბა, ბევრი ოფიციალური ქაღალდები უგზავნა ქუთაისიდან ფირმებს, ბევრი ემუდარა თავისი წარმომადგენელის პირით, მაგრამ მრეწველნი, რატომ საბჭოს თავმჯდომარე იმავე დროს ამხანაგობის „შავი-ქვის“ თავმჯდომარეც არ არიან, თანხმდენ. წარმოადგინეს აგრეთვე მიზეზათ სრული უფლება-მოსილება საბჭოისა და საბჭოსი კანცელარიის ქუთაისში ყოფნა.

იქიდანვე: თუმცა ჭიათურის ქსენონს ქვია „საავადმყოფო მუშებისათვის“, მაგრამ ნამდვილათ კი სტანციონალური ავათმყოფები აქედა წამალს ძვირად ღებულობენ. დაუწერენ რეცეპტს და, აფთიქაში წადიო, ეუბნებიან. რატომ აქვე მუქთად წამალი არ უნდა ეძლეოდეს ავათმყოფ მუშას, რომელსაც ყიდვის საშვალება არა აქვს, ვერ გაგვიგია!

იქიდანვე: აგერ ერთი წელია, რაც შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოს ადგილობრივმა კრებამ ექიმის, ბოქაულის და რამოდენიმე ბაზრის წარმომადგენელთა თანადასწრებით დაიადგინეს: გაკეთდეს რამოდენიმე ალაგას საზოგადო ფეხის-ადგილები, მაგრამ ჯერ არსად არის. ჭიათურა ძველებურათ უსუფთაობაში იხრჩობა. საასენიზაციო ბოჭკები, ვგონებ ნახევარი წელიწადია, რაც აქ გდია და ხმარებაში არ არის.

კორესპონდენციები.

ზემო რაჭა. როგორც „კვალის“ № 34-ში მოხსენებული იყო, ამ წელს ზემო რაჭას დიდძალი ზარალი მეცა, მაგრამ ბუნებამ ამას არ დააჯერა სწორედ გლეხები. ბირველ აგვისტოში მოსულმა კოხმა და ნიალვრებმა სამშინდათ გააფუჭეს ვენახები და სიმინდები, ხოლო, რაც ამათ გადურჩა, შემოდგომის წვიმებმა შეუნახველი ანანაშავე გამოალბო. ვენახები ისეა გაფუჭებული, რომ თუ ახალი ვაზი არ ჩაიყარა, ძველი ადარ იყარგების.

წელს თუმცა ცოტა ჯარგი თვისების ღვინო მოვიდა, მაგრამ მეტათ ძვირია აქაურ ფასობაზე. ჯერ ეხლაც დაბალი თვისების მაჭარი ოთხ მანეთ ნახევრათ ისეიდება კასრი (ორი ფუთია) და შემდეგში, რასაკვირველია, კიდევ უფრო გაძვირდება.

მაგრამ, მიუხედავათ ასეთი სიძვირისა, რაჭველი მაინც თავის რაჭველობას არ მიშლის. ერთი „რჯულზე“ თუ არ გამოთვრა და არ გამოათრო თავისი სტუმრები, ისე როგორ იქნება. ამისთვის ის ეოველგვარი შემოხვევით სარგებლობს; ქორწილი იქნება თუ ადა,ი, ნათლობა თუ გასვენება, დღეობა თუ უბრალო წვეულება,—მისთვის სულ ერთია,—ის სულ ქეიფობს და ქეიფობს!. მთვრალებს გაახსენდებათ ხოლმე ძველი შეურაცეოფა და დაერევიან ერთ მაჩეთ. არასთ იმდენი ვალის თვლა არ ხდება ღვეოში, როგორც აქ. ამასთანავე ძლიერ ხშირია სიმთვრალის დროს გაცივებული წიკვდილი.

მოსავლობა რაჭველებისათვის ახალი ამბავი არ არის, მაგრამ გლეხები მაინც თავს არ იზოგავენ, ხშირათ ნასუდ თესლსა თესვენ, მუშობენ, მიწას აკვლებიან, აუტანელ გადასახადებსაც უმკლავდებიან, ერთი სიტეკით ეოველ გვარ დონისძიებას ხმარობენ, რომ რამესაირათ მიწაზე ეფხი მოამაგრონ, მაგრამ რა ქნას საწყალმა გლეხმა, რაცა ხშირათ თესლსაც ვერ ინაზღაურებს ხოლმე...

ერთ წელიწადს რომ მოვა მოსავალი, სამს—სულ არაეფერი არ მოდის და ამ ნაირათ ზემო რაჭველი ნახევრობით ნაუდი სიმინდით საზრდოობს.

„სწორეთ ადარა ღირს აქ ცხოვრება, უნდა წავიდეთ სადმეო“ მობენ გლეხები და მიდიან კიდეც. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ზემო რაჭველებმა დაიწყეს გადასახლება. სახლდებიან თეთალისში, ქუთაისში და უფრო კი თერგის ოლქში, სახელდობრ დაბ სალიგორდაში, სადაც ეოველ წლიურათ სიმინდი არამც თუ აგვიდობრივ მცხოვრებთათვისაც საკმაო, არამედ გასაყიდელიც ბლომათ არის. ამ დაბაში რამოდენიმე ზემო რაჭიდან გადასახლებუ-

ლი ოჯახია. აქ გადასასლების სურვილი წელს ზემო რაჭის სოფლელებში ბევრს ემჩნევა. ,,რომ ვინმე იყიდეს ჩემ ადგილ-მნმელს, სწორეთ წავალოთ'' გაიძახიან. ამ ლტოლვილებას, გარდა იმისა უნაყოფობისა, ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სალიგვერეში გადასახლებულ გლეხებს უნმეთ სამანდი შემოაქვთ თავი ამშობლო რაჭაში და კარგ ფასად ყიდიან. ეს აქაურებს შურსა გვრის და ამბობენ: ,,ეს ოხერი და ტიალი, აქ ლეკმის ჭამაც უჭირდათ და ესლა ფულითაც და სიმინდითაც ყელთამდის ხავსენა არიანო'' და ამხიარით, თუ დღემდის მოელი ზემო რაჭიდან ერთი გადასასლებოდა, დღეს ძვირად გავა წელიწადი, რომ ო

სოფლიდან ერთი ან ორი არ გადასასლდეს.

გიორგი ბოდისწველელი.

ᲔᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ (ქუთაისის მაზრა). 1900 წლიდან ეწერის საზოგადოებაში შესამჩნევ პროგრესს ვხედავთ სწავლა განათლების მხრივ. წინათ მთელ საზოგადოებაში, რომელიც შედგება 800 კომლ მცხოვრებიდან, იყო ერთი ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და ერთიც სამრევლო. 1900 სოფლმა ანუომ დაადგინა განაჩენი საკუთარი სკოლის დაარსების შესახებ, რომელიც მთავრობამ დამტკიცა. 1901 წელში ეწერის ერთკლასიანი სკოლა მთელი საზოგადოების განაჩენისამებრ გადაკეთდა ორკლასიანად. არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე თვე და სოფელმა იანეთმაც კერძოთ თავისთვის ითხოვა საკუთარი სკოლის ორკლასიანად გადაკეთება. ამგვარად საქმე რიგიანად მიდიოდა, მაგრამ გამოჩნდენ ისეთი პირები, რომლებმაც დაუწყეს იანეთლებს ჩაგონება: ,,ჩვენ ჩვენთვის კიკეთებთ სკოლას და ეწერის სკოლის გადაკეთებას რას დაკეტებთო. ითხოვეთ მთავრობის ინაშე, გაგვთავისუფლონ ეწერის სკოლის სარჯებიდანაო. მართლაც ასე მოიქცენ. მაგრამ მთავრობამ ეთი თხოვნა არ შეიწყნარა, მთი საკუთარი სკოლის ორკლასიანად გადაკეთების შესახებ განაჩენი უკანვე დაუბრუნა დუმტკიცებელი და უპასუხა:—,,ეწერის სკოლის ორკლასიანად გადაკეთებას დასთანხმებულხართ, განაჩენზე ხელიც მოგიწერიათ და დღეს მისი უარ ყოფა შეუძლებელია'' . ამის შემდეგ იანეოლებს რაღა უნდა ექნათ, დაადგინეს სეფ-ასალ, განაჩენი საკუთარი სკოლის ორკლასიანად გადაკეთების შესახებ, რომელიც მთავრობამ, რადგანაც იანეთლები ეწერის სკოლის ხარჯებიდან განთავისუფლებას აღარ თხოულობდენ, დამტკიცა. აგრეთვე დამტკიცა მთავრობამ ეწერის საზოგადოების განაჩენიც. ამ გვარად საქმე გამობრუნდა და კეთილად მიდიოდა, ესლა საჭირო იყო ორიგე სკოლებისთვის შენობების მოპოება, მაგრამ აქაც გაუჭირდენ ამ საქმეს სელის შემშლელები. ისევ ზოგიერთ კაპიტონების წაყოლობით იანეთმა ეწერის სკოლასთვის სულ მცირედენი სარჯების გაწევა. ითქმის ამ ორი თვის განმავლობაში მეექვსეჯერ არის მოსდარი ყრილობა ამ საქმის შესახებ, მაგრამ კეთილად ვერ არფერი დამთავრებულა. იანეთი მაინც თავისას გაიძახის ,,ჩვენ ჩვენთვის კიკეთებთ სკოლას და თქვენ თქვენთვის გაიკეთეთო'' და არაფერმა კეთილმა რჩევამ არ იმოქმედა მათზე. სამწუხაროა სწორეთ იანეთლების ამბავი, რომელებიც სხვის ფასის ძაბს აყოლიან.

ა. ნაცვალი.

ᲨᲐᲰ-ᲐᲑᲐᲯᲘᲡ ᲓᲠᲝᲜᲔ.

რათა ქვითინებ მწარედა,
დედავ, რათა ღვრი ცრემლებსა,
განა ცრემლები შეგფერის
შენ, გმირი შვილის მშობელსა?!.
რათ აფრქვევ ცრემლებს მაგ ძუძუს,
მამაც მებრძოლის აღმზრდელსა,
რათ იცემ ხელებს თავ-პირში,
რატომ იხოკავ გულ-მკერდსა?!.
შვილი მოგტაცეს თაბრებმა,
მოსწყვიტეს მშობელ მხარესა,
მიტომ ქვითინებ, მიტომ სტირ,
მიტომ ღვრი ცრემლ ებს მწარესა.
მარა იგი ხომ, მშობელო,
მამულისათვის იბრძოდა,
იმისი ოფლი მკერდიდან
სიმართლისათვის იღვრიდა;
იმისი ბასრი მახვილი
მტრის სისხლით იღებებოდა,
იგი ხომ მტერებს ზარს ცემდა,
თავისუფლებას შველოდა!
იმის სახელს ხომ მარადის
არ დაივიწყებს მამული,
იმისი ძეგლი ხომ ყველას
გულში გვექნება ჩადგმული.
და მასთან იმის მშობლისაც,
ვინც იმას რძეს აწოვებდა,
გმირსა უზრდიდა მამულსა,
მის აკვანს ნანას დამღერდა!.
იგი გმირია, მშობელო,
და შენ დედა ხარ გმირისა,
და მერე ცრემლი შეგფერის
დედას იმგვარის შვილისა?!.

კ. გოგოლაძე.

შინაური მიმოხილვა.

დიდი ხანია ჩვეულებრივათ არ მიმოგვიხილავს ჩვენი ცხოვრება ჩემთ მკითხველო და სრული უფლება გაქვს დაგვემდურო, მაგრამ ეს მარტო ჩვენი სიზარმაცის ბრალი არ არის. მექრონიქისათვის სხვათა შორის საჭიროა ორი გარეშე პირობა: პირველი—თვით ცხოვრება ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ ძალაუნებურათ შეაჩეროს შენი ყურადღება და მეორეც ისა, რომ ყოველ მხრით შეგვეძლოს მოვუყაროთ თავი და ავწონ- დაწონოთ ესა თუ ის მოვლენა. კიდევ ბევრი რამ არის საჭირო, მაგრამ მარტო ეს ორიც რომ მიიღოთ მხედველობაში, მაშინაც ბევრს გვაპატიებთ და ამიტომ ბევრი ბოდიშით აღარ შევაწყენთ თავს. მაინც სავსებით ვერ ვიმართლებთ თავს, რადგან ჩვენ უფერულ ცხოვრებაშიაც ბევრმა განსხვავებული ფერის მოვლენამ იჩინა და მათ შორის პირველია ქალთა ბრძოლა.

სწორეთ განსხვავებული ფერის ბრძოლა იყო თფილისის მასწავლებელ ქალთა საზოგადოებაში დღეისწორს დასრულებული ბრძოლა. შესანიშნავი იყო ის ერთი იმით, რომ მისი აღწერა ზოგიერთ გაზეთებში წინ და წინ დაიწერა, მეორეც იმითი რომ დღემდინ ყველა ქალები ფემინისტკები იყვენ და მამაკაცთა წინააღმდეგ იბრძოდენ თავიანთი უფლებათა გასაფართოებლათ, დღეისწორს კი ჩვენ ვხედავდით ქალების ორ რაზმს, რომელთაც ერთმანერთზე მიქონდათ იერიში და მზათ იყვენ გაეკამტვერებია მოწინააღმდეგენი. მიზეზი ამ გამწვავებისა ისევ მამაკაცები შეიქნენ. დღემდინ მასწავლებელ ქალთა საზოგადოების ნამდვილ წევრებათ მხოლოთ ქალები მიიღებოდენ, მაგრამ რადგან არავითარი ამისთანა საზოგადოება მამაკაცებს არა აქვთ და არც იმედია მალე ექნეთ, აღნიშნულ საზოგადოების ზოგიერთ წევრებს განეზრახათ წესდების ისე შეცვლა, რომ კაცებსაც მიცემოდა უფლება საზოგადოების ნამდვილი წევრობისა. აი ეს იყო პროექტის შემდგენელთა მთავარი აზრი, რომლის წინააღმდეგ მეტათ ენერგიულათ გამოილაშქრა საზოგადოების მეორე ნაწილმა. პროექტის

შემდგენელნი ანუ როგორც მათ უწოდებენ რეფორმატორები იმითი ასაბუთებდენ თავიანთ აზრს, რომ მასწავლებელ კაცებისთვისაც დიდათ საჭიროა საზოგადოების დმხმარება—მათ ხჭირრათ ზნეობრივი, გონებრივი ქონებრივი დახმარება და ამის მქნელი ჩვენი საზოგადოების მეტი არავინ არისო. ამასთანავე თვით საზოგადოებისთვისაც სასარგებლო იქნება მამაკაცების შემოსვლა, რადგან ახალი ძალები მოგვემატებაო და სხვ. და ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტება ყოველ შემთხვევაში მამაკაცთა შემოსვლისგან მოსალოდნელი ზიანი ვერც მოწინაალმდეგეებმა აღნიშნეს და ჩვენ ხომ რომ კიდეც ვხედავდეთ ხელს არ მოგვცემს მათი აღნიშვნა. სამწუხაროა, რომ ეს სიმპატიური პროექტი მიუღებელი დარჩა, თუმცა მისი მომხრე უმრავლესობა იყო (წესდებით საჭირო იყო დამსწრეთ ორი მესამედი). სამწუხაროა ამ პროექტის მიუღებლობა იმ მოსაზრებითაც რომ კრებაში მოლაპარაკეთა შორის ჩვენ შევნიშნეთ სამი მამაკაცის მსგავსი არსება, რომელთაგან ერთს სამოქალაქო დებულებაც კი ეჭირა ხელში, მაგრამ დანადვილებით ვერ ვიტყვით თუ რა სქესისა და „წოდებისანი" იყვენ, რადგან აქ მხოლოთ ქალებს შეეძლო ლაპარაკი. სვას რომ თავი დავანებოთ ამათი სახის გამორკვევაში მაინც შეგვიწყობდა ხელს რეფორმა. დიახ სამწუხაროა რეაქციის გამარჯვება, მაგრამ იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი, რომ თუ მართლა ჩვენი ქალები იმდენათ მოლონიურებული არიან, რომ მათ მოთხოვნილებათ გამხდარა მამაკაცებისათვის დახმარების აღმოჩენა, სხვა გზით შეძლებენ ამ საქმის მოგვარებას, თუნდ იმ გზით, რომელსაც პროექტის მოწინაალმდეგენი უჩვენებდენ, მაგრამ ესეც რომ ვერ შეძლონ და მხოლოთ იმ ფარგალში იტრიალონ, რომელსაც მათ წესდება უსაზღრავს, ისიც კარგი საქმე იქნება და ჯერ-ჯერობით კიდევ შეგვიძლიან მით დავკმაყოფილდეთ.

*
* *

განსხვავებული ბრძოლა იყო წელს ჩვენი ქალაქის არჩევნებშიაც, განსხვავებული მით რომ წელს აქ მხოლოთ ერთი პარტია მოქმედობდა, პარტია სომეხთა პლუტოკრატიისა, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც სავსებით. სხვები კი მხოლოთ კალმის წვერით იღებდენ ბრძოლაში მონაწილეობას, ისე კი თვითის განძრევა-ც დაუზარათ და ასე გასინჯეთ, ვერც საარჩევნო ყუთებმა მიიზიდა. მართალია ძლევამოსილმა პარტიამ რამდენიმე ლუკმა ულონო და უმოქმედო ხალხსაც გადაუგდო, მაგრამ ეს მოსკოველი ვაჭრის შაფათობის ქველმოქმედებას მოგვაგონებს. რომელიც კვირაში შვიდი დღე ხალხს ყვლეფს და სასხლს წუწნის და ერთ საათს უხვათ არიგებს შაურიან მოწყალებას. ესეც არ იყოს არჩეულთა უმრავლესობა საიდანაც გინდა აიღეთ, რომელი ერის წარმომადგენელიც, ის იმავე წრიდან და იმავე მცნებათა აღმსარებელია, რომელსაც სომხის პლუტოკრატია მისდევს. ამის გამო დიდ ცვლილებას არავინ მოელის ქალაქის ახალ ბატონ-პატრონთაგან და თუ ასე გვიან ჩამოვაგდეთ სიტყვა იმიტომ, რომ ხმა დადის, ორ უბანში ეს განსხვავებული ბრძოლა მხოლოთ გენერალურ რეპეტიციათ იქნება ცნობილიო. ჩვენ ყოველთვის წინაალმდეგი ვართ თვითმართველობაში გარეშე ხელის ჩარევისა, თუნდ ჩვენთვის სასიამოვნო პარტიაც იგებდეს ამ ჩარევით, მაგრამ თუ ეს ხმა გამართლდა მაშინ უფრო მომზადებულათ და წინდახედულათ უნდა შეხვდენ ისინი, ვინც ქალაქის მცხოვრებთა ინტერესების დამცველათ სახავენ თავს, თორემ ნება გვეძლევა მათი სიტყვა-დაპირებანი ლიტონ სიტყვებათ მივიჩნიოთ.

*
* *

განსხვავებული ცვლილება განიცადა ჩვენ ქალაქში მომქმედმა სახალხო კითხვათა კომისიამაც, რომელსაც ახლახან მოუვიდა დამტკიცებული წესდება. მართალია, დღემდინ სახალხო კითხვის გამმართველი კომისიები უწესდებოთ, კერძო პირის სახელობაზე გამოტანილი ნებართვით მოქმედობდენ, მაგრამ ჩვენი შეხედულობით მათი წარსული [illegible] მომავალს, მიუხედავათ იმისა, რომ დღეიდან [illegible] ასპარეზი უფრო ვრცელი იქნება. ეს სივრცეც პირველი შეხედულებით გვეჩვენება, თორემ ნამდვილათ ბევრათ უფრო შევიწროებული იქნება. ჩვენ ვერ ვეთანხმებით ორატორ ქალის აზრს ვითომ „პროგრესსი სივრცეში გაგანიერება" *) იყოს და აიტომ, თუნდა ახალი წესდებით საეალხო კითხვათა საზოგადოების მოქმედებია ასპარეზათ მიღებულია მთელი გუბერნია ნაცვლათ თფილისისა, რადგან წესდების არც ერთ მუხლში ცნობილი არ არის ადგილობრივი ენები: ქართული, სომხური და თათრული, ამიტომ მათი კითხვებით სარგებლობა და „პატრიოტული გრძნობებით" გამსჭვალვა მხოლოთ რუსული ენის მცოდნეთ შეეძლებათ. ადვილი წარმოსადგენია, რა ადგილი და რა გავლენა ექნება მარტო სახელმწიფო ენაზე კითხვებს პროვინციებში, როცა თვით თფილისშიაც საჭირო იყო და არის ოთხ ენაზე კითხვა მაინც, თუ მართლა იმ ხალხის ხელის შეწყობა გვინდა, რომელთათვისაც ბედს არ ურგუნებია სხვა გზით მიეღოთ ცოტაოდენი განათლება და შეეგნოთ ადამიანობა. თავის პროგრამითაც ბევრათ უფრო შევიწროვებულია ახალი ანუ განახლებული საზოგადოება და ყველა ამ ნაკლთა ასაცილებლათ საჭირო შეიქნება ისევ ძველი გზა—კერძო პირების თავდებობა და მაშინ კი გაუგებარი რჩება წესდების დამტკიცების მნიშვნელობა, რაც უნდა წინათვე გაეთვალისწინებიათ საქმის მეთაურთ. ჩვენ დროში და ჩვენ პირობებში ძნელია იმისი მოთხოვნა: ან სულ ან არაფერიო, მაგრამ რაც გვაქვს და გვქონებია ის მაინც არ უნდა დავკარგოთ და მარტო „სივრცე" ნუ გაგვიტაცებს—შინაარსაც მივაქციოთ ყურადღება...

რუსეთის ცხოვრება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ადგენს თურმე ამ ჟამათ ახალ კანონ-პროექტს. იგი შეეხება ებრაელებს. ახალ კანონ-პროექტის ძალით, ებრაელებს შეეძლებათ შეიძინონ საკუთრებათ მიწა-ადგილი მთელს რუსეთში. მხოლოთ შემდეგი პირობებია საჭირო: ნებართვა იმ ადგილის სასყიდლათ, რომელიც 30 დესეტინას არ აღემატება, უნდა აღებულ იქმნას ადგილობრივ გუბერნატორისაგან, 50 დესეტინისა—შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, ხოლო თუ ადგილი 50 დესეტინას აღემატება, საჭიროა უმაღლესი ნებართვა,

— ლ. ნ. ტოლსტოი ხელ-ახლა გამხდარა თურმე ავათ. ეხლაც (მესამედ) ფილტვების ანთება აქვს. იასნაია პოლიანაში ექიმები დაუბარებიათ.

— რუსეთში უმაღლეს სასწავლებლებზე საზოგადოთ ცოტა იხარჯება. ყველაზე მეტი ფული უნდება მოსკოვის უნივერსიტეტს —1,300,000 მანეთი; პეტერბურგის უნივერსიტეტს წელიწადში უნდება 800,000 მანეთი, სხვა უნივერსიტეტებს—თითოს 500,000 მან., ხოლო ვარშავისა, ტომსკისა და იურიევის—თითოს 400,000 მან. ამასთან რუსეთში სულ ცხრა უნივერსიტეტია. ასე არ არის საზღვარ-გარეთ. მთლათ ევროპაში რუსეთის გარდა 120 უნივერსიტეტია, ხოლო შეერთებულ შტატებში—41. ისეთი პაწაწა სახელმწიფოც კი, როგორიც რუმინიაა, ორს უნივერსიტეტზე ხარჯავს ერთ-ნახევარ მილიონ მანეთს. ბერლინის უნივერსიტეტს უნდება წელიწადში ერთ ნახევარ მილიონი მანეთი, ლუნდისას (შვეცია) - 1,800,000 მანეთი, პარიჟისას—2,200,000 მან., კემბრიჯისას (ამერიკის შტატ მასაჩუზეტშია)—3,000,000 მ. დიდ ფულს ხარჯავენ უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებზე განსაკუთრებით ამერიკაში. პეტერბურგის სტეხნოლოგო ინსტიტუტს 1900

*). წარმოთქმული მასწავლებელ ქალთა კრებაზე.

წელს მოახმარეს 274,000 მანეთი, სოდო ბოსტონის (ამერიკაში) ასეთსავე ინსტიტუტს—2,800,000 მანეთი. ქონება საზღვარ-გარეთელ უნივერსიტეტებს მეტად დიდი აქვთ.

ზემოდ ხსენებულ კემბრიჯის უნივერსიტეტს, მაგალითად, 25 მილიონ მანეთის ქონება აქვს. სტუდენტთა რიცხვიც საზღვარ-გარეთ დიდია. 1900—1901 სამეცნიერო წელს ითვლებოდა:

პარიზის უნივერსიტეტში 12,171 სტუდ., ბერლინის—12,063, ქაირის უმაღლეს სკოლაში 9,063, ვენის უნივერსიტეტში—6,009, ბუდაპეშტის—5,661, ნეაპოლის—5.165, მადრიდის—5,118, გლასგოს სტუდენტიკო სკოლაში—4,587, ბერლინის 4,441; ამავე წელს ირიცხებოდა: შეერთ. შტატების უნივერსიტ. 65,500 სტუდ. გერმანიის—41,000, რუსეთის—16,800.

— ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებაში წარდგენილია შესაშეშვებლად პროექტი პროსტიტუციის წინააღმდეგ საბ[illegible]ოთ. განძრახვა აქვთ დაარსონ ამ საქმის გამო განსაკუთრებული კომიტეტები არა მარტო პეტერბურგში და მოსკოვში, არამედ პროვინციალურ ქალაქებშიც, რომლებიც ზომებს მიიღებენ ამ სენის წინააღმდეგ.

საზღვარ-გარეთ.

საფრანგეთი. ზოლას ძეგლისათვის სულ ორ-სამ კვირაში 50 ათასი ფრანკი ფული შეუკრებიათ. კიდევაც კრებენ ფულს. ,,ადამიანის უფლებათა დამცველ ლიგას'' და გაზ. ,,ორორ''-ის რედაქციას დღესაც მრავალი შემოწირულება მოსდით ქვეყნიერების ყოველის კუთხიდან. როცა ძეგლის დამდგმელი კომიტეტი ოფიციალურათ დაარსდება, უეჭველათ ამდენი კიდევ შეიკრიბება. დიდი პატივი სცა საზოგადოებამ ზოლას ღვაწლსა და ნიჭს.

ჯერ-ჯერობით ზოლას მეკობრეები იკრიბებიან და მოლაპარაკებას მართავენ, თუ ვინ აირჩიონ კომიტეტის წევრებად. ელიან კომპოზიტორის ალფრედ ბრიუნოს დაბრუნებას. ბრიუნო ეხლა პროვინციაში იმყოფება და ბორდოსა და ნანტში თავის ოპერებსა სდგამს. ლიბრეტო ამ ოპერისათვის ზოლას დაუწერია. რაც ამ წარმოდგენებისაგან ფული შემოკა, ზოლას ძეგლს მოახმარდება. ბრიუნომ მისწერა ზოლას ქვრივს, რომ ნანტში დიდს პატივსა სცემენ ზოლას სახელსაო. ერთმა ზოლას თაყვანის მცემელმა წინადადება მისცა ქალაქ ნანტის საბჭოს, რომ ქალაქის დიდ მოედანს სახელი გამოუცვალოთ და ემილ ზოლას მოედანი დავარქვათო, ,,რომ ეს დიდებული სახელი ნიადაგ ისმოდეს ქალაქ ნანტშიო''. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და მოედანს სახელათ ემილ ზოლას მოედანი დაარქვა.

ნანტის გარდა, სხვაგანაც დიდს პატივის ცემას უცხადებენ ზოლას სახელს. ქვეყნიერების ყოველის კუთხიდან დღემდე მრავალი წერილი, ადრესი და მუნიციპალიტეტების დადგენილება მოსდის ქ-ნ ზოლას. საზღვარ-გარეთიდანაც დიდ თანაგრძნობას უცხადებენ ზოლას ქვრივსა და თაყვანსა სცემენ განსვენებულს დიდებულს მწერალს.

როგორც მოელოდენ, ისეც ასრულდა. პალატის ოპოზიციამ, ანუ უმცირესობამ არ მიიღო მონაწილეობა იმ კომისიის არჩევანში, რომელმაც კონგრეგაციების თხოვნები უნდა განიხილოს. ამის გამო 17 ოქტომბერს არჩევანში მარტო 306 დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა და მარცხენა პარტიის 33 კანდიდატი სუყველანი უბრძოლველათ აირჩიეს. ყოველმა კანდიდატმა 276—282 ხმა მიიღო. კომისიის წევრთაგან რამდენიმე კაცი დიდი მტერია კონგრეგაციებისა. იმავე დღეს საბიუჯეტო კომისიაც აირჩიეს. ამ კომისიაში 33 წევრია: 22—მთავრობის მომხრე, ამათ შორის ჟორესი დისემბაც, და 11 ოპოზიციის წევრია. კომისია საკმაოდ [illegible] ეუყურებს რუვიეს ბიუჯეტის პროექტს.

პადეკალეს მადნის დირექტორებს მიუწერიათ [illegible] ბრივ პრეფექტისათვის, თანახმა ვართ [illegible] გატებთან მოლაპარაკება გავმართოთ; სამედიცინო [illegible] თლით საქმის გადაწყვეტა კი ადრეულათ [illegible] დირექტორები სწერენ: ,,სამედიცინო [illegible] რომ [illegible] დეთ, მაშინ მოლაპარაკებას ყოველი [illegible] ბა; ყველა იფიქრებს, სულ [illegible] გათავდება, უსათუოთ [illegible] [illegible] მ რთოთ და ამის გამო საქმის [illegible] ეტა [illegible] დება. ამას გარდა, [illegible] [illegible] ლება გადაწყვეტა, თუ რაზე უნდა [illegible] [illegible] მოსამართლეებს და რა პირობით უნდა [illegible] [illegible] ლოთ''.

გერმანია. წარსულის წლის დასაწყისში [illegible] ტაგში პირველათ არჩევდენ სადამოკენო კანონ პროექტს [illegible] ციალ-დემოკრატიის მეთაურმა [illegible] ბებელ [illegible] აგრარიები [illegible] ამ [illegible] ტი [illegible] ; სამარესაო, ესაფლავეთ გრაფ ბიულოვი [illegible] ''. ბებელის სიტყვები [illegible] ალე ასრულდა, აგრარიებს ვილა ჩავის [illegible] ბ [illegible] ვს ეტყობა, თავისთვისაც [illegible] [illegible] ; სამარე: ამ წყეულ [illegible] ; [illegible] ; [illegible] ;

ექვს-ნახევარ მილიონ სულისათვის იქნება სახეირო. დანარჩენი გერმანია კი, 50 მილიონი სული, ბაჟის მომატების წინააღმდეგია. განა საკითხავი-ღაა, თუ ვისი მხარე უნდა დაიჭიროს კანონ-მდებელმა, როცა პურისა და ხორცის ბაჟზე ლაპარაკი? ამ პურსა და ხორცზე კიდია ხალხის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

შეერთებული შტატები. ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი სომეხი გადასახლდა; სომხური გაზეთებიც კი გამოდის ამერიკაში. ერთ სომხურს გაზეთს—ქალაქ ბოსტონში გამოდის—წერილით უკითხავს ამერიკელ და ინგლისელ გამოჩენილ მწერლებისა და მოღვაწეებისათვის: ზოგიერთი სომეხი-რევოლიუციონერი ამტკიცებს, რომ სომხებმაც მაკედონელებსავით აჯანყება უნდა მოახდინონ, ეხლა მარჯვე დროა საამისოთაო. რა აზრისა ხართ ამაზე, გამოვა რამე სომხების აჯანყებიდან, თუ არაო"?

ჯერ-ჯერობით მარტო გამოჩენილ ინგლისელ მწერალსა და მოღვაწეს ბრაისს უპასუხნია სომხურ გაზეთისათვის. ბრაისს მცირე აზია და ამიერ კავკასია მოვლილი აქვს, არარატის მთაზედაც ასულა და სომეხის საქმე კარგათ აქვს შესწავლილი. ბრაისს მიუწერია: „ჩემის აზრით, სომხები ტყუილათ აჯანყდებიან, აჯანყებიდან სულ ერთიც არა გამოვა-რა: მარტო ოსმალოს ხალხს გააბრაზებენო".

კლემანსოს სიტყვა

(საფრანგეთი).

თითქმის ცხრა წელიწადმა გაიარა, რაც ჟორჟ კლემანსო პოლიტიკურ ასპარეზს განშორდა, და ამ ხანგრძლივის მდუმარების შემდეგ მხოლოდ ამ დღეებში პირველად წარმოსთქვა სენატში სიტყვა კონგრეგაციათა შესახებ. ორატორმა ისეთის სიდინჯითა და თავშეკავებით ილაპარაკა, რომ ალტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. ყოველი მისი სიტყვა გულამდე სწვდებოდა მსმენელს, რადგან ცხად ჰყოფდა ორატორის მაღალს ნიჭს, დიდს გამოცდილებასა და საქმის ზედ-მიწევნით ცოდნას.

„რესპუბლიკანელთა უმრავლესობის მოვალეობაა—სთქვა კლემანსომ—წმინდად დაიცვას დიადი აზრი თავისუფლებისა, ებრძოლოს რეაქციას და სრულ-ჰყოს საფრანგეთის დიდ რევოლიუციის გამარჯვება. თუმცა ერთი მემარჯვენეთაგანი კითხულობს—ოცდოველი იყო, თუ არა, ვალდეკ-რუსსოო—მაგრამ მე არ შევუდგები მის კანხილვას,—ეს ისტორიის საქმეა. მე მხოლოდ ისა მსურს, რომ ჩვენის კამათის საგანს მეტი სინათლე მოვფინო, რადგან დემოკრატთა საქმეს ისე არა აფნებს-რა, როგორც გამოურკვევლობა და ბურუსში ყოფნა. უფლება ხელთ-უპყრია თავისუფლების დასს: მან უნდა ისარგებლოს ამ უფლებით. მინისტრ კომბს თვითაც ძალუძს თავის დაცვა: უმრავლესობა მისი მოხრეა. მე ვილაპარაკებ მის მაგივრად. რა საშუალებას უნდა მივმართოთ, რომ ჩვენი ძლიერება კიდევ უფრო განვაძლიეროთ? თავისუფლებას. ამ ჟამად პირველ ადგილზე წამოაყენებიათ საკითხი სინიდისის თავისუფლების და მასზედ გვითითებენ. კლერიკალები ირწმუნებიან,—(სწორედ საკვირველია) სინიდისის თავისუფლება წაგვართვითო. ბრალსა გვდებენ—სარწმუნოებას უქადით მოსპობასაო. არა, ჩვენ ეს არა გვწადიან, და კიდეც რომ გვსურდეს, ძალა არ შეგვწევს ამისათვის. ჩვენ გვინახავს, როგორ აღმოცენებულა და გამქრალა სარწმუნოება, მაგრამ იმას კი არავინ მოსწრებია, რომ სარწმუნოება მოესპოს მთავრობას. ჩვენ გვინდა სარწმუნოების მოსპობა კი არა, არამედ რომის პოლიტიკის მოსპობა, რომელსაც თეოკრატიისკენ მივყავართ.

კათოლიკეთა ეკკლესია გვარწმუნებს, რომ ჩემ ხელში არის საერო უფლება, რადგანაც ჩემსავე ხელშია სასულიერო ძალაო. ეს სიცრუეა. არავითარი სასულიერო ძალა არა აქვთ. პაპები მუდამ საერო თავისუფლებას შესტრფოდნენ და მისკენ მიილტვოდნენ. პაპი კეისრად გახდა, და თუ გზაზედ მეორე კეისარს შეხვდებოდა, არავითარ საშუალებას არ ზოგავდა მეტოქის დასამხობად.

ჩვენს მეფეებს ქედი უნდა მოეხარათ რომის წინაშე. ჰენრიხ მე-IV-ც კი—ეს საუკეთესო ბურბონთაგანი—იძულებული გახდა წარმოეთქვა საგულისხმო, ცინიკური სიტყვები: „Paris vout bien une messe" (პარიჟი ერთ წირვადაც ჰღირსო). ლუდოვიკ მე-XIV-ც ხომ—ეს წინა მოადგილე კომბისა (ისტყდა ხმა-მაღლა სიცილი), დიახ, წინა მოადგილე კომბისა, იძულებული იყო შებრძოლებოდა სამღვდელოებას, რომელიც დაჟინებით მიისწრაფოდა საერო ხელმწიფების მოსასპობლად.

აბა, დაუკვირდით რომის ეკკლესიის მოქმედებას, მის სახელოვანს Index-ს (სია აღკრძალულ წიგნების), რომელიც ანათემით ჰგმობს პროგრესს, მეცნიერებას, თავისუფალს გამოკვლევას, თვით აზრსა—განა ამასა ჰქვიან სინიდისის თავისუფლება? Index-ი საუცხოვოდ ახასიათებს რომის პოლიტიკას. ეკკლესიას ორი სული უდგია: სარწმუნოება, რომლის წარმომადგენელნიც მღვდლები არიან, და პოლიტიკა, რომელსაც კონგრეგაციები, ბერ-მონაზონნი ხელმძღვანელობენ.

მე უარს არა ვყოფ კონგრეგაციის წევრთა კაცთ-მოყვარეობასა და თავ-განწირულობას; თუ ყველანი არა, უმეტესი ნაწილი მაინც ასეთია. მაგრამ განა ამ ღირსებათა გამოჩენა მხოლოდ კონგრეგაციულს ნიადაგზეა შესაძლებელი, და ისიც პოლიტიკურის აზრით? სწორეთ ყურთა სმენა წაიღეს, თავისუფლება, თავისუფლებაო. ნუ ერწმუნებით ამ ხმას. რამდენნაირი მმართველობა არა ყოფილა საფრანგეთში, მაგრამ თავისუფლებას ვერც ერთი ვერ ურიგდებოდა. მხოლოდ რესპუბლიკას არ ეშინიან მისი, რესპუბლიკა საუცხოვოდ ეთვისება თავისუფლებას.

საფრანგეთს ჩვენ მივეცით თავისუფლება (ჰიჰმართავს მემარჯვენეთ), თქვენ-კი არხეინად სარგებლობთ ამ თავისუფლებით. თუმცა მუდამ გვებრძვით, (მარჯვნივ ხმაურობაა).

მე კარგად მახსოვს, როგორა ჰგზავნიდნენ ჩემს ტოლ-ამხანაგთა ალჟირში, და სასამართლოს განაჩენსაც ფლობ უკადიდნენ! თქვენ, მოწყალენო ხელმწიფენო, (მემარჯვენენო), კრინტსაც ვერ დასძრავდით, რომ ეხლა 1858 წელში ვცხოვრობდეთ. როდესაც თქვენი ბანაკი შემცირდა და დაკნინდა. ახლა მოგაგონდათ თავისუფლება! სწორედ პაპურ რებლეს მაგონებთ, რომელმაც წმინდანები რომ ვერ მიიბარა, მერმე ტარტაროზს მიჰმართა. თქვენი ტარტაროზი თავისუფლებაა. სანამ მონარქია არსებობდა, თქვენ არც კი გახსოვდათ იგი. (ისტყდა ტაშის ცემა).

მე ვთხოულობ ყველა კონგრეგაციების გაუქმებას, რომელიც ებრძვის ადამიანის თავისუფლების პრინციპსა და ძირს უთხრის მოქალაქის თავისუფლებას. პირ-იქით, ჩვენ სწორეთ თავისუფლების სახელით უნდა ვაუკლავდეთ ამ შავ-ბნელ ძალათა მისწრაფებას.

კონგრეგაცია არაა ჩვეულებრივი კავშირი; პირ-იქით, იგი საჩრჩულია თავისუფალ საზოგადოებათა საპირისა, რადგან გამოსარჩლების მაგივრათ, სთრგუნავს კერძო კაცს. მისთვის რომი—ყველაფერია, კაცი კი—არა-რა.

ჩვენ მივეცით ქვეყანას თავისუფლება, და დღეს ვხედავთ, რომ ხალხნი გაფაციცებით მიისწრაფვიან ამ განძისადმი. გერმანელთა ტომნი მხოლოთ მას შემდეგ გაძლიერდენ და ძყ-

ვავდენ, რაც რომის ტირანიას დააზწიეს თავი. კათოლიკეთა ქვეყნებში კი რასა ვხედავთ? მაგალითათ კათოლიკურ ავსტრიაში? ვუსურვებ ამ პატივცემულ სახელმწიფოს, რომ ჯერ კიდევ არ დასდგომოდეს ის დრო, როდესაც ეს ძველი ბურჯი კათოლიკეთა შინაურ ბრძოლის ველათ გარდაიქცევა. ბავარია პრუსიის გავლენის ქვეშ მოყვა, ისპანია ზეზეურათ იზრწნება. მხოლოთ ერთმა იტალიამ მოიშორა თავიდან რომის უღელი და შეუდგა ახალ ცხოვრებას, რასაც სიამოვნებით ვულოცავ მას. პოლონეთი დაინგრა და გაქრა. ჩვენი საფრანგეთი კი!

რომ საფრანგეთი თავის დროზე არ გამოქომაგებოდა პაპის საერო ხელმწიფებას, უეჭველია მას აღმოუჩნდებოდნენ მეგობრები და იძულებული აღარ გახთებოდა დაეთმო მისთვის ორი უმდიდრესი პროვინცია, რომელზედაც მე არა მსურს, და ვერც ვიტყვი უარს. ხმა-მაღალი მოწონების ხმები).

სწორეთ ჩვენის თავისუფლების შემწეობით, რომელსაც თქვენ ცოდვილს უწოდებთ, უნდა ვებრძოლოთ თქვენს ეგრეთ წოდებულს, უცოდველს რეაქციას, და მანამდე არ დავსცხრებით, სანამ საფრანგეთი შესაფერისს ადგილს არ მოიპოვებს ევროპის სახელმწიფოთა შორის. მიბრძანეთ ეხლა, გნებავთ, რომ საფრანგეთი რომის მონა გახდეს, თუ რევოლიუციის პირმშო შვილათ დარჩეს. (მოწონების ხმები).

ჩვენ რევოლიუციის ჯარის-კაცებათ ვრჩებით. მოწადინე ვართ სამოქალაქო მშვიდობიანობისა, რომელსაც რომის კურია გვაწვდის. ხელს ვერვინ შეგვიშლის. ძალა ჩვენს ხელთ არის, და ჩვენი მიზანი—განთავისუფლებულ სინიდისის მშვიდობაა! (განუწყვეტელი ტაშის ცემა და ვაშას ძახილი. მინისტრ-პრეზიდენტმა კომბმა, მინისტრებმა ანდრემ, შომიემ და დუმერგმა ხელი ჩამოართვეს და მადლობა უთხრეს ორატორს).

სენატმა 163 ხმის უპეტესობით წინააღმდეგ 90-სა მოიწონა მთავრობის მოქმედება.

სასამართლოში

(მოთხ. ჩეხოვისა)

სამაზრო ქალაქ №-ში, მიხაკის ფრად შეღებილ სახაზინო სახლში, სადაც რიგ-რიგობით იმართება საერობო საბჭოს მომრიგელ-მოსამართლეთა, საგლეხო და სამხედრო კრებულთა, და მრავალ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა სხდომები, ერთ შემოდგომის ღრუბლიან დღეს არჩევდა საქმეებს ოლქის სასამართლოს განყოფილება, რომელიც აქ დროებით იყო მოსული. ზემოხსენებული სახლის შესახებ ერთმა ადგილობრივმა მოხელემ ასე იოხუნჯა:

— აქ იუსტიციაცაა, პოლიციაც და მილიციაც—ერთი სიტყვით, ნამდვილი კეთილ-შობილ ქალთა ინსტიტუტია.

მაგრამ, ანდაზისა არ იყოს, შვიდი გამდლის ხელში ბავშვი ცალ-თვალა დარჩაო, ეს სახლი აკვირვებს და თან ალონებს ახალ, შეუჩვეველ თვალს თავისი მჭმუნვარე, ტლანქი შეხედულობით, სიძველით და სრული უგემოვნობით, როგორც შიგნით, აგრეთვე გარეთაც. იგი თვით გაზაფხულის ბრწყინვალე დღეებშიაც ისე გამოიყურება, თითქოს ხშირი ჩრდილით იყოს დაფარული. მთვარიან ღამეებში, როდესაც განათებული ხეები და მკვიდრთა სახლები ლამაზ შესახედავს წარმოადგენენ და როდესაც ყოველივეს წყნარათ სძინავს, მხოლოთ ეს, თითქოს განგებ უალაგო-ალაგას ამოჩრილაო, —უშნოთ ეჩხირება თვალში ადამიანს, სწამლავს საზოგადო ჰარმონიას და არ სძინავს, თითქოს ძველი, ძალაუნებურათ ჩადენილი ცოდვების მოუშორებლობა აუხირებს. შიგნით ყველაფერი მეტათ ულამაზო და მოუწყობელია. განცვიფრებაში მოდიხართ, როცა ხედავთ, თუ რა მშვენიერათ ეწყობიან აქაური ვინტილიაციების ზუზუნს [illegible] ვი სინთლის საძაგელ სუნსა და ტალახიან [illegible] კედლებს ყველა ეს ბრალმდებლები, სამსაჯულოს წევრები და წინამძღოლნი, რომლებიც სახლში ერთ ამბავს დაჰწევს, ცოტა ნახშირის სუნი რომ მოედინოთ ან და, იატაკი ოდნავ გასვრილი რომ იქნეს.

ოლქის სასამართლოს სხდომა დაიწყო ათ საათზე და მაშინვე საქმეების გარჩევას შეუდგენ. საქმეებს ისეთი სისწრაფით არჩევდენ, საქმე საქმეზე ისეთი სიჩქარით გადადიოდა, რომ არც ერთ ხორც-შესხმულ ადამიანს არ შეეძლო სრული, დასურათხატებული შთაბეჭდილება გამოეტანა ამ მრავალფერ, ადიდებული წყალივით დაუწყნარებელ პირებისა, მოძრაობსა, სიტყვებისა ჯ სიმართლე-სიმრუდესგან... ნაშუადღევის ორ საათამდე უკვე ბევრი სექმე იყო გათავებული: ორს გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტეს, ერთს ყოველივე ღირსების ახდა და ციხე მიუსაჯეს, ერთი საქმეც გადადვეს...

ორი საათი იქნებოდა, რაც თავმჯდომარემ გასარჩევად შემდეგი საქმე გამოაცხადა: „გლეხი ნიკოლოზ ხარლამოვისაგან ცოლის მოკვლის ბრალდების შესახებ“. მსაჯულები ისინივე დარჩენ, რომლებიც წინა საქმეებს არჩევდენ, მხოლოთ ვექილის ადგილი ახალმა პირმა, ახალგაზდა, უწვერ-ულვაშო, ბრჭყვიალა ფოლაქებიან სერთუკოსანმა, სასამართლო მოხელეობის კანდიდატმა დაიჭირა.

— შემოიყვანეთ ბრალდებული! მოახდინა განკარგულება თავმჯდომარემ.

მაგრამ წინდაწინვე მომზადებული ბრალდებული უკვე მიდიოდა თავის საჯდომისაკენ. ეს იყო მაღალი, სავსე სრულიად მელოტი, ქერა წვერიანი 55 წლის გლეხი. მას მისდევდა პატარა, სუსტი სალდათი.

როცა ბრალდებულის დასაჯდომ სკამს მიუახლოვდენ, სალდათს ცოტა უსიამოვნება შეემთხვა. უცნაურათ რაღაცას ფეხი წამოკრა და თოფი ხელიდან გაუსხლტა, მაგრამ სწრაფათ გზაშივე დაიჭირა და ამ დროს თოფის კონდახს მუხლი მაგრათ მოარტყა.

ხალხში შეკავებული სიცილის ხმა გაისმა. ტკივილისაგან იყო თუ სირცხვილისაგან, რომ ასეთი საქმე მოუვიდა, სალდათი ძალზე წამოწითლდა.

შემდეგ ბრალდებულის ჩვეულებრივის გამოკითხვისა, ნაფიცი მსაჯულების დასხდომისა, მოწმეების გამოძახებისა და დაფიცებისა საბრალდებულო ოქმის კითხვას შეუდგენ. კითხულობდა გულ-ჩავარდნილი ფერ-მიხდილი მდივანი, რომელიც იმდენათ გამხდარი იყო, რომ „მუნდირი“ ტომარასავით ადგა ტანზე; ლოყაზე მალამო ქონდა აწებებული,—ერთი სიტყვით, ნამდვილი მოძრავი „კლინიკა“ იყო. ის კითხულობდა დაბალი, ბოხი ხმით, დააკვნურათ ერთ ხმაზე, ხმის აუწეველ-დაუწეველათ, თითქო თავისი მკერდის შეწუხებას ერიდებაო. მას ბანს აძლევდა დაულალავათ მოზუზუნე ვინტილიაცია და ყველა ეს ერთათ შეერთებული გლოვის ზარივით გამოისმოდა, იქ მყოფთ ნერვებს უდუნებდა და ძილსა გვრიდა.

თავმჯდომარე არ იყო მაინცა-და-მაინც მოხუცებული, თუმცა სახე მოქანცული ქონდა და თვალთაც აკლდა. ის უძრავათ იჯდა თავის სავარძელში და შუბლზე ხელი მიეფარებია, თითქოს თვალებს მზის სხივებს არიდებსო. ვინტილიაციისა და სეკრეტრის ზუზუნში ის რაღაცა ფიქს მისცემოდა. როცა სეკრეტარი შეჩერდა ახალი გვერდიდან კითხვის დასაწყებათ, თავმჯდომარე უცებ შეკრთა და ხალხს ამღვრეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალეპით გადახედა, შემდეგ გადაიხარა და იქვე მჯდომ სამსაჯულოს წევრს ყურში წასჩურჩულა:

— მატვეი პეტროვიჩ, თქვენ დემიანოვისას ჩამოხტით?

— დი-ახ! დემიანოვისას, მეკროთომითვე უპასუხა მეზობელმა.

— შემდეგისათვი, მეც უსათუოთ იმისას გავჩერდები. წარმოიდგინეთ, ტიპიაკოვისას სრულებით არ შეიძლება დადგომა! მთელი ღამე ღრიანცელი და ხმაურობაა! ერთ-თავათ გაუთავებელი რახა-რუხი, ხვედრები, ბავშვების წივილ-კივილი და აურ-ზაურია. სწორეთ შეუძლებელია!..

ბრალმდებლის თანაშემწე სრული, ჩასუქებული, შავგრემანი კაცი იყო; მას ქონდა ოქროს სათვალეები და ლამაზი, ფაქიზათ მოვლილი წვერები. ის ქანდაკებასავით გაუნძრევლათ იჯდა და თავჩაღუნული ბაირონის „კაინს“ კითხულობდა. იმის თვალებში გატაცება გამოიხატებოდა, ხოლო წარბები კი, ნიშნათ გაკვირვებისა, თავის-თავათ სულ ზევით და ზევით იწევდენ... ხანდახან ის სავარძლის საზურგეს მიაწვებოდა, ცოტა ხანს ანგარიშ მიუცემლათ დაიწყებდა წინ ცქერას და შემდეგ ისევ კითხვას შეუდგებოდა. ვექილი მაგიდაზე გამოუთლელი ბოლოთი აყოლებდა ყარანდაშს და გვერდზე თავგადახრილი... ფიქრებს მისცემოდა... მისი ახალგაზდა სახე არაფერს არ გამოხატავდა იმ ჟამათ, გარდა უძრავი, ცივი მოწყენილობისა, ისეთი მოწყენილობისა, როგორიც იხატება ხოლმე მოსამსახურე ხალხის და მოწაფეების სახეზე, რომლებიც ვალდებულნი არიან ისხდნენ ერთ ადგილას, უცქირონ ერთ და იმავე სახეებს და კედლებს. დასაცავი სიტყვა, რომელიც უნდა წარმოეთქვა, იმას სრულიადაც არ აღელვებდა. ან-კი რას წარმოადგენს ეს სიტყვა? იგი მან უნდა თქვას მთავრობის ბრძანებით, შაბლონურათ; წინდა-წინვე გრძნობს, რომ სიტყვა უფეროული და მოსაწყენი გამოვა; ის იტყვის იმას მსაჯულების წინაშე უგულოთ, ისე დაზეპირებულივით; შემდეგ კი ამ ტალახში და წვიმაში სადგურისკენ გაემგზავრება, იქიდან ქალაქში, საიდანაც არც კი დამსვენებენ ისე გაგზავნიან რომელიმე მაზრაში ახალი სიტყვის წარმოსათქმელათ... მოსაწყენია მაშ რა ჯანაბაა!..

ბრალდებული ერთხანზე სახელოებ აფარებული ახველებდა, მაგრამ მალე სიჩუმემ, ერთფეროვნებამ და მოწყენილობამ იმაზედაც იმოქმედა: ის უსულ-გულო პატივის ცემით უცქეროდა მსაჯულების მუნდირებს, მათ დაღლილ სახეებს და დინჯათ ახამხამებდა თვალებს. სასამართლოს მორთულობამ, მოსამსახურეების საიდუმლოებით მოცულმა საქციელმა კიდევაც დაამშვიდეს იგი. იმას აქ სრულებითაც ის არ შეხვედრია, რასაც მოელოდა. მას აბრალებდენ მკვლელობას, ხოლო აქ კი არ შეხვედრია არც ერთ მრისხანე სახეს, აქ მას ცუდის თვალით არავინ უცქეროდა, არც სამაგიეროს ემუქრებოდა ვინმე და არც არავინ უწევდა თანაგრძნობას უბედურებაში; არც ერთ იქ მჯდომთაგანს არ შეუჩერებია იმაზე ხანგრძლივი ცნობის-მოყვარე თვალი... მოწყენილი ფანჯრები, სეკრეტრის ხმა, ბრალმდებლის პოზა—ყველა ეს კანცელიარული გულ-გრილობით იყო გაჟღენთილი და ყოველიფერს სამარისებურ სიცივეს ფენდა; გეგონებოდათ თითქოს მკვლელი ებრალოთ კანცელარიის კუთვნილებას შეადგენდა, ან-და იმას ასამართლებდა ვილაცასაგან მოწყობილი უჩინარი მანქანა და არა ცოცხალი ადამიანები... ხარლამოვმა არ იცოდა, რომ აქ ყველას ისე შეჩვეული ქონდა თვალი მსოფლიო დრამებზე, როგორც საავათმყოფოში ექიმებს სიკვდილზე; მან არ იცოდა, რომ ამ მანქანურ გულ-გრილობაში იმალებოდა იმისი გაჭირვებული მდგომარეობა. თუნდ ის კიდევაც არ მჯდარიყო წუნარით, ამდგარიყო, დაეწყო მუდარა, ცრემლებით მოწყალების თხოვნა, მწარეთ შენანიება, თუ გინდ მომკვდარიყო კიდეც სასოწარკვეთილებაში, მაინც ყველა ეს ისე შეარყევდა ძველ ჩვეულებას და მოდუნებულ ნერვებს, როგორც ტალღა კლდეს.

როცა სეკრეტარმა კითხვა გაათავა, თავმჯდომარემ [illegible]ლაცა ანგარიშ-მიუცემლათ თავის წინ მაგიდას ხელი გადაუსვა, დიდხანს მიაშტერა თვალები ბრალდებულს და შემდეგ ზანტათ ჰკითხა:

— ბრალდებულო, სცნობთ თქვენ თავს დამნაშავეთ იმაში, რომ ცხრა ივნისს, საღამოს მოკალით თქვენი ცოლი?

— სრულებითაც არა—წამოდგა, გულზე ხალათი გაისწორა და მიუგო ბრალდებულმა.

ამის შემდეგ მსაჯულებმა იწყეს მოწმეების კითხვა. კითხეს ორ დედაკაცს, ხუთ გლეხს და „ურიადნიკს“, რომელსაც ადგილობრივ ოქმი შეედგინა, ყველანი ტალახში ამოსვრილნი, ქვეითობითა და მოწმეების სამყოფ ოთახში ლოდინით დაქანცულები იყვნენ. ყველამ თითქმის ერთი და იგივე უჩვენეს. მათი ჩვენებიდან სჩანდა, რომ ხარლამოვი თავის დედაკაცთან „კარგათ“ ცხოვრობდა, საზოგადოთ ისე, როგორც სხვები: ცოლს მაშინ ცემდა, როცა დაითრობოდა ხოლმე. ცხრა ივნის, მზის ჩასვლისას, იმათ დედაკაცი თავ-გაჩეხილი ნახეს, იქვე სისხლის მორევში ცული ეგდო. როდესაც ნიკოლოოზს დაუწყეს ძებნა, რათა ეცნობებიათ მისთვის მომხდარი უბედურება, ის ვერ ნახეს, ვერც ქოხში და ვერც ქუჩაში. ძებნით იქაურობა გააჯერეს, არც ერთი დუქანი, არც ერთი ქოხი არ დაუტოვებიათ გაუჩხრეკავი, მაგრამ მაინც ვერსად ვერ ნახეს. ხარლამოვი სადღაც გაქრა და ორი დღის შემდეგ ფერ-მიხდილი, ტანისამოს შემოფლეთილი და აცახცახებული თითონვე გამოცხადდა სოფლის სასამართლოში. ის მაშინვე დაიჭირეს და დაატუსაღეს.

— ბრალდებულო,—მიუბრუნდა თავმჯდომარე ხარლამოვს,—არ შეგიძლიათ აუხსნათ სამსჯავროს, თუ სად იმყოფებოდით იმ ორ დღეს მკვლელობის შემდეგ?

— მინდვრათ დავდიოდი... უჭმელი, უსმელი...

— რისთვის იმალებოდით, თუ თქვენ არ მოგიკლავთ?

— შევშინდი.. ვერიდებოდი, ვაი თუ მე დამაბრალონმეთქი...

— აჰა... კარგი, დაჯექით!

უკანასკნელათ კითხეს სამაზრო ექიმს, რომელსაც შეემოწმებია განსვენებულის გვამი. იმან აცნობა სამსაჯულოს ყოველივე, რაც კი ახსოვდა მიცვალებულის გვამის გაჭრის დროს შემდგარი ოქმიდან და რისაც გახსენება მოასწრო დილას, როცა სასამართლოში უსაქმოთ დახეტიალობდა. თავმჯდომარე თვალებ-დაჭყეტილი უცქეროდა იმის ახალ შავ ტანისამოსს, კოხტა ყელსახვევს, იმის ბაგეების მოძრაობას და როგორღაც თავის-თავათ, ზანტათ უტრიალებდა თავში შემდეგი აზრი: მიკვირს რათ შეიკერა ასეთი გრძელი სერთუკი, როცა ყველანი მოკლეს იკერავენ? რატომ იყიდა გრძელი და არა მოკლე?..

თავმჯდომარის უკან მოისმა წაღების ფრთხილი ჭრიალი. ეს იყო ბრალმდებლის თანაშემწე, რომელიც რაღაც ქაღალდის ასაღებათ მაგიდასთან მივიდა.

— მიხაილ ვლადიმიროვიჩ—წასჩურჩულა ყურში თავმჯდომარეს—ამ კორესკის უთავბოლოთ მოუხდენია გამოძიება, მკვიდრი ძმა და მამასახლისი უკითხავი დარჩენია; ქოხის აწერილობაც გაუგებარია...

— რა გაეწყობა... რა ვუყოთ! ამოიოხრა თავმჯდომარემ, მიეყრდნო სავარძლის საზურგეს და დაუმატა: სწორეთ აწეწილ-დაწეწილი რამაა... გაუგებარია!

— მართლა—ჩურჩულითვე განაგრძო ბრალმდებლის თანაშემწემ - მიაქციეთ ყურადღება ხალხში, შუა ადგილას რომ

ზის, აი, ის, მარჯვნიდან მესამე... არტისტული სახე რომ აქვს... ჰო, აი, ის ადგილობრივი ფულიანი ტუზია. ხუთასი-ათას მანეთამდე ნაღდი ფული ექნება!..

— მართლა? შეხედულება სრულებით არ უმტკიცებს... სხვა, რა ვქნათ, მეგობარო, ჯერ ნუ შევწყვეტთ საქმეს, ნუ დავისვენებთ?

— გათავოთ ბარემ გამოძიება, მერე კი...

— როგორც გნებავთ... მერე?—მიუბრუნდა თავმჯდომარე ექიმს.—თქვენ ამტკიცებთ, რომ დაჭრის შემდეგ მალე გარდაიცვალა?

— დიახ, ტვინის ნივთიერებათა ძლიერად დაშავების გამო. როცა ექიმმა გაათავა, თავმჯდომარემ გაიხედა ვექილისა და ბრალდებულის შუა სივრცეში და წინადადება მისცა:

— არა გაქვთ რა შესაკითხავი?

ბრალმდებელს „კაინისთვის“ თვალი არც კი მოუშორებია, ისე ანიშნა თავით უარი: ვექილი კი მოულოდნელათ შეინძრა, ჩაახველა და კითხა:

— მე მინდა გკითხოთ, ექიმო, შესაძლოა თუ არა ჭრილობის სიღრმის მიხედვით და-გვარათ წარმოდგენა ვიქონიოთ დამნაშავის სულიერ მდგომარეობაზე? ესე იგი, მე მინდა გკითხოთ,—დაშავებული ნაწილის ზომა გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ ბრალდებული იმყოფებოდა ანგარიშმიუცემელ მდგომარეობაში?

თავმჯდომარემ მიაპყრო ვექილს თავისი მძაფრე და უმიზნოთ გამომცქერალი თვალები. ბრალმდებელმა უცებ მოაშორა „კაინს“ და შეხედა თავმჯდომარეს. ისინი მხოლოთ იცქირებოდენ, თორემ იმათ სახეზე არაფერი არ იხატებოდა: არც ღიმილი და არც გაკვირვება.

— შეიძლება... არეულათ უპასუხა ექიმმა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ძალას... იმ . იმ... იმ... რომლითაც დამნაშავემ დაკრა... სხვანაირათ... უკაცრავათ, მე ვერ გავიგე თქვენი კითხვა...

ვექილმა ვერ მიიღო პასუხი თავის კითხვაზე და მაინ-და-მაინც არც კი საჭიროებდა. მისთვის ცხადი იყო, რომ ეგ კითხვა თავის თავათ მოადგა ენაზე და მისდა უნებურათ წამოცდა. ექიმი გაუშვეს და მსაჯულები ნივთიერი საბუთების განხილვას შეუდგნენ. პირველათ ფარაჯა გასინჯეს, რომლის სახელოები სისხლის წვეთებით იყო გასვრილი. ამ წვეთების შესახებ ხარლამოვმა განაცხადა:

— სამი დღის წინ, როცა დედა კაცი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, პენკოვმა თავის ცხენს სისხლი გამოუშვა... მე იქ ვიყავი, რასაკვირველია, ვშველოდი და... გავისვარე...

— მაგრამ პენკოვმა ეხლა გვითხრა, რომ მას არ ახსოვს სისხლის გამოშვების დროს თქვენ მასთან იყავით თუ არა...

— არ ვიცი.

— დაჯექით!

მერმე დაუწყეს სინჯვა ცულს, რომლითაც დედა-კაცი იყო მოკლული.

— ეს არ არის ჩემი ცული—განაცხადა ბრალდებულმა.

— მაშ ვისია?

— არ ვიცი... მე არ მქონებია ცული...

— გლეხს არ შეუძლია უცულოთ თუნდ ერთი დღე გაატაროს. თქვენი მეზობელი ივანე ტიმოფეიჩი, რომელთანაც თქვენ მარხილს ასწორებდით, ამბობს, რომ ეგ ცული თქვენია.

— არა ვიცი რა, მხოლოთ მე ვამბობ, როგორც ღვთის წინაშე (ხარლამოვმა გამოიშვირა ხელები და თითები დაქიმა)...

— ვფიცავ ჭეშმარიტ შემოქმედს... მე ის დროც არ მახსოვს,—საკუთარი ცული რომ მქონებოდეს... ჰო, მარია-ლია, მქონდა ამის მსგავსი, ცოტა უფრო პატარა... მაგრამ შვილმა დამიკარგა, პროხორმა... ორი წლის წინათ, სანამ სამსახურში წაიყვანდენ, ის ტყეში წავიდა [illegible] ბიჭებს, წაიქეიფა ამხანაგებთან და დაკარგა...

— კარგი, კარგი დაჯექით.

ამ სისტემატიურმა იჭვიანობამ და ამ დაუჯერებლობამ შეურაცხყვეს ხარლამოვი; მან დახამხამა თვალები, და ლოყები ძალზე წამოუწითლდა.

— ვფიცავ ღმერთს!—კისერ-მოღერებით განაგრძო მან—მე თუ არ მერწმუნებით, ინებეთ და კითხეთ ჩემ შვილს, ჩემ პროხორს.—შემდეგ ის ერთბაშათ მიუბრუნდა მის მოდარაჯე სალდათს და თავისი მოუხეშავი ხმით ბრძანებისა კილოთი კითხა: პროშკა, სად არის ბიჭო, ჩემი ცული, სთქვი ჩქარა, სადაა, სად?!.

საშინელი წამი დაადგა... თითქოს ყველას ფეხი გაუსხლტა, თითქოს ყველანი ძირს დაეცნენ; ყველას იქ მყოფთ თავში ერთმა და იმავე აზრმა გაუელვა, აზრმა წარმოუდგენელმა, საშინელმა; ყველა მიხვდა ამ საბედისწერო შემთხვევას, მაგრამ ვერც ერთმა იმათგანმა ვერ გაბედა, რომ სალდათისათვის პირდაპირ შეეხედა. თითოეულ მათგანს სურდა არ დარწმუნებოდა თავის თავს, ყველას სურდა, რომ ეს ტყუილი ყოფილიყო, რომ ეს მათ მხოლოთ მოესმათ...

— ბრალდებულო, თანამხლებ დარაჯთან ლაპარაკი კანონის ძალით სასტიკათ აკრძალულია,—უცებ წამოიძახა თავმჯდომარემ.

არავის არ დაუნახავს სალდათის სახე. საზოგადო შიში უცებ გაქრა. სასამართლოს ბოქაული ადგა, ფრთხილათ და ხელების ქნევით გარეთ გამოვიდა. ნახევარ წამში მოისმა ყრუ ნაბიჯი და ხმაურობა, როგორიც იმის ხოლმე მოჰყვება დარაჯის გამოცვლის დროს.

ყველამ თავი მაღლა ასწია; ისინი ცდილობდენ თავი ისე დაეჭირათ, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო; საქმე ისევ განაგრძეს,

ლ. ქ—შვილი.

წერილი ბათომიდან.

ბათომის ქალაქის თვითმართველობამ გამოაქვეყნა მეორე და უკანასკნელი სია ამომრჩეველთა. ამ სიით ქართველ ამომრჩეველთა რიცხვი არის 326 (ქართველ მაჰმადიანები 82, ქართველ მართლ-მადიდებელნი და კათოლიკენი 244), სომხებისა—181, რუსებისა 139 (ამ რიცხვშია პოლშელები, ნემცები და სხვა და სხვა დაწესებულებანი) და ბერძნებისა—68. პარტიებათ აქ იმის მიხედვით იყოფიან, თუ რომელი ამომრჩეველი რომელ ნაციას ეკუთნის; ქართველები ერთ პარტიას წარმოადგენენ, სომხები მეორეს და სხვა. როგორც ვხედავთ სხვა და სხვა ნაციის ამრჩეველთა რაოდენობისაგან, არც ერთს პარტიას თავის თავათ არ ძალუძს გამარჯვება, რომელიმეს უნდა შეუერთდენ, უნდა მოახდინონ კომპრომისი. ყველაზე მეტი ქართველი ამომრჩევლებია. ამათი რიცხვი საგრძნობელია, მარა არც ამათ ძალუძთ განმარტოვებით მოქმედება. სხვები რომ ერთათ შეერთდენ, ქართველები დამარცხდებიან. ლაპარაკობენ ქართველებისა და სომხების შეერთებაზე, რაც, ჩვენი აზრით, უნდა განხორციელდეს. აი, პარტიების გარეგანი მხარე. გაუსინჯოთ ახლა მას შინაგანი მხარე, ვნახოთ რას შეიცავს მისი შინაარსი.

დავიწყოთ სომხებისაგან. ბათომის საბჭოში სომეხ ხმოსანთა რიცხვი არაოდეს არ შეიცავდა უმრავლესობას. მაშ, იმის მაგალითი, თუ როგორ წაიყვანდა ბათომის ქალაქის საქმეებს სომეხთა უმრავლესობა, ჩვენ ხელთ არა გვაქვს. მა-

რა თითქმის, დანამდვილებით შეგიძლია ვთქვათ, „რომ იმ სიფრთხილეა წარმომადგენელნი, რომელნიც არჩევის უფლებისა მქონენი არიან, იმ გვარადვე ისაბელებენ თავს თვითმართველობის აპარატზე, როგორც თბილისის საბჭოს უმრავლესობამ ისახელა თავი. 1898 წელს არჩეული სოფლის ხმოსნებში არც ერთს არ დატყობია ქალაქის საქმეებისადმი გულწრფელი მოქმედება; იგინი ყოველთვის ხელმძღვანელობდენ ვიწრო ნაციონალურ ეგოიზმით, რაც სოფლის ამრჩევლებზედაც სავსებით შეგვიძლია ვთქვათ.

მეორე პარტიას მებაირახტრეთ ცნობილი პალმი ყავს. აქედან ნათლათ ვხედავთ, თუ რას უნდა შეიცავდეს ეს პარტია. პალმი და მისი გაზეთი მტერია ყოველი თვით-მოქმედებისა, მას ყოველგან და ყველაფერში შეთქმულობა ელანდება და ყოველ ფეხის გადადგმაზე „ყარაულს“ უძახის; მას წარმოუდგენია მას თავის თავი რუსების ინტერესების დამცველათ და, მისი აზრით- ეს ინტერესები იმაში გამოსახება, რომ მოისპოს კავკასიაში განსაკუთრებული ეროვნებანი, მათი გარუსებით, მოისპოს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება და ყველა დაწესებულებებში მიღებულ იქნას რუსები და არა სხვა ტომის ხალხი; მას დღევანდელი მდგომარეობა კავკასიის სკოლებისა ისეთ თავსსუფალ მდგომარეობათ წარმოუდგენია, რომ ლამის არის ეს „მდგომარეობა“ „სოციალიზმათ“ გამოცხადოს! ასეთია ბათომის რუს ამრჩეველთა მებაირახტრე ბ-ნი პალმი...

ბერძენ ამრჩეველთა რიცხვი ისე მცირეა, რომ მას მაინდა-მაინც დიდი გავლენა არჩევნებზე არც კი აქვს. თუმცა ბერძენ მცხოვრებთა რიცხვი ბათომში საგრძნობელია, მარა მოქალაქეობული ნაწილი ბერძნებისა ზოგი ოსმალეთის ქვეშევრდომია, ზოგი საბერძნეთისა. ასე რომ ამ ნაწილს არჩევის უფლება არა აქვს. იმათ კი, ვინც არჩევის უფლებათ სარგებლობენ, არ ყავთ ისეთი წარმომადგენელნი, რომლებსაც ქალაქის საქმეთა მართვაში რაიმე ნიჭი ეტყობოდეს.

ქალაქის თვითმართველობის დასაწყისიდან ბათომის საბჭოში ხმოსანთა უმრავლესობა ყოველთვის ქართველობა იყო. მაშ, ჩვენ შეძლება გვეძლევა ამ პარტიის წარსული მოქმედება გავიკეთალისწინოთ და, თუ რომ საბჭოში იგივე პარტია იქნება უმრავლესობათ, გავითვალისწინოთ ისიც, თუ რა გვარი იქნება ამ პარტიის მოქმედება მომავალში. თუ გულზე ხელს დავიდებთ და არ ვეულალატებთ სიმართლეს, უნდა ვაღიარეთ, რომ ამ პარტიის სუსტი და ცუდი მხარეები გაკილებით სჭარბობს მის კარგ მხარეებს. აქ, უეჭველ, შემოაეკეთებენ: რამ აბჯობ, განა ამ პარტიამ არ დააარსა ვაჟებისა და ქალების გიმნაზიები, მოაკირწყლა ქუჩებიო? მართლია, მარა „შამომყვირებელნიც“ დამეთანხმებიან, რომ იმ ფულებით, რომელიც ბათომის თვითმართველობის განკარგულებაში იყო (პორტისაგან შემოსავალი ამ ბოლო დროს მოკვეს), გაცილებით იმაზე უფრო მეტი გაკეთდებოდა, რაც დღეიდის გაკეთებულა. დაარსდებოდა პირველ-დაწყებითი სასწავლებლები (ახლა ეს პირველ-დაწყებითი სასწავლებელი ქალაქს მხოლოთ ორი აქვს), დაარსდებოდა ისეთი ბიბლიოთეკა, რომლითაც, დაბალი ხალხიც ისარგებლებდა, დაარსდებოდა თეატრი, გაკეთდებოდა „კონკა“ და სხვა ბევრი სასარგებლო რამ, რომ ქალაქს სათავეში ყოლოდა ენერგიული, ბრძენი და ჯანის მოყვარე პირები. რომ უფრო ნათლათ წარმოვიდგინოთ ეს პარტია, საჭიროა შევეხოთ მის „სულსა და გულს“, მისი მეთაურის საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობას. ამ პარტიის მეთაურათ ითვლება გამგეობის წევრი, ბ-ნი ვოლსკი. მე ხშირათ მსმენია ბეჭდვითი სიტყვითაც და ისედაც, რომ ბ-ნი ვოლსკი დიდი ქართველი მოღვაწეა. არ შევდივარ ბ-ნ ვოლსკისაგან დაწერილ ნაწარმოებთა განხილვაში, ვინაიდან ამ მხრივ განსახილველი არაფერია, სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა არც კი ჩანს... მარა: როცა ამბობენ „ვოლსკი დიდი მოღვაწეა“, სანდრეს ... ბ-ნ ... ,,მოღვაწეობას“ აკავშირებენ „ქართულ საქმეებთან“... მარა ვნახოთ თუ რა ქართული საქმე გაუკეთებია საბჭოში ბ-ნ ვოლსკის. თუ არ მიიღებთ მხედველობაში იმას, რომ ბათომის თვითმართველობაში ბ-ნი ვოლსკი წევრია მართველობისა, ჩვენ სხვა მეტს ვერაფერ მისგან გაკეთებულ ქართულ საქმეს ვერ დავინახავთ.

მარა ბ-ნი ვოლსკი იმდენათ დამწაშავეა, რამდენათაც ის წრე, რომელიც მას „დიდ მოღვაწეთ“ სახავს. ჩვენში უცებ იციან ადამიანისთვის რეტის დასხმა. ასწევენ ვინმეს და ერთბაშათ საზოგადო მოღვაწეთგამოგიცხადებენ. ეს „გამოცხადებულიც“ იფერებს ამას და გონია, რომ მართლაც და „დიდი მოღვაწეა“. მაშ, მართლაც და დიდ რამეს უნდა ვაკეთებდე, რომ საზოგადო მოღვაწეთ მთვლიანო, ფიქრობს ის, თუმცა, უთუოთ, ისიც ეჭვშია თავის „დიდ მოღვაწეობის“ შესახებ.

ბ-ნმა ვოლსკიმ შექმნა ბათომში, ან უკეთ რომ ვთქვათ, მის პარტიათ ითვლება ისეთი პარტია, რომლის ვიწრო ინტერესები არასოდეს არ ასულა საზოგადო ინტერესების სიმაღლემდე. ის ინტერესები კერძოა და არა საზოგადო. ამგვარ ინტერესებითვე აიხსნება ის გარემოებაც, რომ ბათომის საბჭოს ქართველი ხმოსნები სასაცილო მასალათ გახდომიათ ზოგიერთებს. საბჭოს უმრავლესობაში, ე. ი. ქართველ ხმოსნებში, 4—5 ძლივს ჩამოთვლათ ისეთებს, რომლებსაც ლაპარაკი შეუძლიათ საბჭოში, სხვები კი მჭერმეტყველურათ სდუმან. და ბევრი კი ისეთებია, რომლებსაც საბჭოს სხდომის გათავებისას რომ კითხოთ, თუ საბჭოში რაზე ქონდათ მსჯელობა, ვერც კი გეტყვიან! რითი უნდა აუხსნათ ეს? ნუთუ მით, რომ ბათომში არ მოიპოვება საკმაო რიცხვი ხმოსნობის ღირსი ქართველებისა? რასაკვირველია მოიპოვებიან, მარა ასეთებს ბ-ნი ვოლსკის პარტია არ აძლევს ნებას საბჭოში შეეჭაჭანებისას.

მართალია, ბევრს ნიჭიერ ქართველს არა აქვს ცენზი, მარა რიგიანი მეიურეი, სწორეთ ისეთი, რომელიც მარტო თავის „მე“-თი არ არის გატაცებული, მოახერხებდა, რომ ეშოვა ამგვარი ქართველებისათვის საპეკუნო, ან სამზრუნველო ცენზი. მარა, როგორც ვთქვით, ვოლსკის პარტია გაურბის ისეთ ქართველების ხმოსნობას, გაურბის, რადგან კარგათ იცის, რომ ასეთი ხმოსნები ყურმოჭრილ ყმებათ ვერ გაუხდებიან ბ-ნ ვოლსკის და ვოლსკის „კამანდროვით“ არ ჩააგდებენ ყუთში შავსა და თეთრს კენჭს; გაურბის, კიდევ, მიტომ, რომ ამგვარი ხმოსნები კერძო ინტერესებს უარ-ყოფენ და მის ალაგას წამოაყენებენ საზოგადო ინტერესებს.

მარა ასეთ პარტიას ხანგრძლივი არსებობა არ უწერია. საზოგადოების გამოფხიზლებას თან მოსდევს ასეთი პარტიის მოსპობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვოლსკის დამყაყებულმა პარტიამ უკვე მოჭამა თავისი დრო; ვფიქრობთ, რომ უნდა გაიწმინდოს ის დამძორებული ატმოსფერა, რომელშიაც ეს პარტია ტრიალებს და მის მაგივრათ წარმოიშვას ახალი ძალები, რომელნიც მეტ სიცოცხლეს, მეტ უნარს, მეტ ენერგიას და მეტ სინათლეს შეიტანენ საბჭოში. თუ რამდენათ მომზადებულია ამისთვის ბათომის ქართველი საზოგადოება, ამას მალე დავინახავთ.

გ. ნატოშვილი

შილლერის პოეზიის მთავარი თვისებანი.

(შემდეგი *).

შილლერი ჯერ ჩვიდმეტის წლისა არც კი იყო, როდესაც მან ,,ავაზაკების'' დაწერა განიზრახა. ჯერ კიდევ აკადემიაში იყო პოეტი, როდესაც ამ პიესას წერდა და ოცდაერთი წლის პოეტმა კიდეც წარუდგინა საზოგადოებას თავისი პიესა. როდესაც ის 1782 წელს მანჰეიმის სცენაზე წარმოადგინეს, პიესის შთაბეჭდილება აუწერელი იყო, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას ორგვარი ხასიათი ქონდა: ძველი წყობილების მოტრფიალენი, ,,სისხლის'' წარმომადგენლები საშინლათ გაბრაზდენ და ამხედრდენ ახალგაზდა პოეტის წინაამდეგ, განახლების მოსურნენი—განსაკუთრებით ახალთაობა—ალტაცებით მიეგება ახალი სიტყვის მთქმელს. რა იყო ან რა არის საამისო ავაზაკებში? მაშინ, როდესაც შილლერი ავაზაკებს წერდა, ის იყო ერთის მხრით გამოუცდელი მწერალი, მეორეს მხრით ცხოვრებაში ჯერ გამოუსვლელი ახალგაზდა, მესამე—მტერი ყოველ-გვარი შევიწროებისა და შეზღუდვის. ყველა ამ სამივე მხარემ თავისი კვალი დააჩნიეს «ავაზაკებს». როგორც გამოუცდელი მწერლის ნაწარმოებში, მასში ბევრია ისეთი შეცდომები, რომლებიც პიესის სახელოვნო ღირსებას ძალიან აქვეითებენ. ავაზაკები არ წარმოადგენს იმგვარ შემუშავებულ და დახელოვნებულ კალმის ნაყოფს, სადაც ყოველი ნაბიჯი მომქმედ პირებისა ლოღიკურათ არის ერთიმეორეზე დაკავშირებული, სადაც მოქმედება ბუნებრივათ იშლება და ფართოვდება. აქ ბევრ ალაგას ატყვია ავტორის ძალდატანება, ავტორის სურვილი. ყოველი ადამიანი უფრო მედგრათ და უდრეკათ მისდევს თავის რწმენებს, უფრო რადიკალია მანამდე, სანამ მას ცხოვრება ჩაითრევდეს; ჩაითრევს თუ არა მას ცხოვრება, მის აზრებს ძველებური პირდაპირობა, უშიშრობა და გატაცება აკლდება, იბადება სხვა და სხვა კომპრომისები და სხვ. შილლერზედაც იგივე ითქმის: ავაზაკებს შილლერი წერდა იმ დროს, როცა ის ჯერ კიდევ ცხოვრებაში ჩაბმული არ იყო და ამიტომაც აქ ყოველი მისი აზრი პირდაპირი, მედგარი, უშიშარი და ძლიერია. რადგანაც შილლერი მოტრფიალე იყო სრული თავისუფლებისა და მტერი ყოველგვარი შევიწროებისა მისი პირველი დრამაც ძლიერი ქადაგებაა თავისუფლების და პიროვნების დამოუკიდებლობის. შინაარსი ავაზაკებისა მარტივია.

მოხუცებულ გრაფს—მოორს ყავს ორი შვილი: კარლოსი და ფრანცი. უფროსი-კარლოსი—შესანიშნავია როგორც ნიჭით, ისე გარეგნობით; ფრანცი კი გარეგნობით უშნოა, ულაზათო და მისი ერთათ ერთი მისწრაფებაა სხვების უბედურებაზე საკუთარი კეთილდღეობის აშენება. ფრანცი ცდილობს, როგორმე თავიდან მოიშოროს უფროსი ძმა, ისარგებლებს იმ დროთი, როცა კარლოსი სახლში არ არის, შეთხზავს ყალბ წერილს, რომელშიაც სხვა და სხვა ავაზაკობას სწამებს თავის ძმას და ურჩევს მამას: დროებით მაინც დასწყევლე შენი შვილი და შეაშინე, რომ გასწორდესო. მამის მაგიერ ის წერს ძმას წერილს: მამა შენი—შენი მამობისაგან ხელს იღებს სამუდამოთო. ეს წერილი უკანასკნელი წვეთი იყო, რომელმაც აღავსო კარლოსის ზიზღი და სიძულვილი საზოგადოებრივი წყობილებისადმი; ის მყისვე შეადგენს ავაზაკების ბრბოს და ცდილობს სხვა და სხვა მავნე პირთა მოკვლით საზოგადოებაში ბოროტების აღმოფხვრას. ამავე დროს ფრანცი თავის მოხუცებულ მამას აკლდამაში დაამწყვდევს, მას მკვდრათ გამოაცხადებს და მის ალაგს თვითონ იჭერს. კარლოსი შემთხვევით გაიგებს ამას, განათავისუფლებს მოხუც მამას და ამხანაგებს გზავნის, ფრანცის შესაპყრობათ და დასასჯელათ, მაგრამ ფრანცი ცოცხალი არ ნებდება ავაზაკებს და თავის ხელით იხრჩობს თავს. კარლოსი კი სასოწარკვეთილებასა და სინანულს ეძლევა, [illegible] გმობს მთელ თავის მოქმედებას და თავის ნებით უვარდება პოლიციას ხელში, ამითი თავდება პიესა.

მთელს დრამაში ყველაზე უფრო საყურადღებო პირს კარლოს მოორი წარმოადგენს. ეს პირი საყურადღებოა მით, რომ ის მატარებელია შილლერის აზრებისა და მისწრაფების, შილლერის პოეზიის დედა აზრი მისი მსოფლიო შეხედულების დედა აზრია. კარლოს მოორი იმდენათვე გავს თვით შილლერს, რამდენადაც ვერტერი გეტეს. კარლოს მოორი მაღალი ნიჭის, მაღალი ზნეობისა და მაღალი გრძნობის კაცია. წინაამდეგ ფრანცისა, რომელსაც სულელათ მიაჩნია ყველა, ვინც კი მხოლოთ თავის საკუთარ სარგებლობაზე არ ზრუნავს, მისი ფიქრი და გრძნობა მხოლოთ მოძმის კეთილდღეობას, საზოგადოებრივ სარგებლობას შეუპყრია. მთელი მისი არსება ნაზი და მგრძნობიარე ნერვებისაგან შესდგება, მას ებრალება ყველა გაჭირვებული, ის თანაუგრძნობს ყოველ დაჩაგრულს, ყოველგვარი სიბოროტე, სისაძაგლე და უსამართლობა მას სულსა და გულს უმღვრევს, მშვიდობიანობასა და მოსვენებას უკარგავს. მრავალ ფიქრს მრავალ გრძნობას, მრავალ მისწრაფებას მასში ერთათ მოუყრია თავი, მას არ შეუძლია, ერთ რომელიმე მათგანს მისდიოს, ერთ გზას დაადგეს, ერთი გადაწყვეტილება აირჩიოს უყოყმანოთ; გადადგამს თუ არა ერთ ნაბიჯს, მას მყისვე ეჭვი ებადება, სასოწარკვეთილებაში ვარდება და მზათ არის, უკან დაიხიოს. რისი მიზეზია ამგვარი შინაგანი დაყოფა, სულის ამგვარი გაბოროტება და შფოთვა? ამის მიზეზი ერთათ ერთია: მას უნდა ადამიანის ბედნიერებას ემსახუროს, ადამიანის კეთილდღეობას შესწიროს თავისი ძალ-ღონე, მაგრამ ხედავს, რომ არსებული საზოგადოებრივი წყობილება აკანონებს უსამართლობას, ძალ-მომრეობას, მექრთამეობას, სინიდისით ვაჭრობას, ერთი-მეორის ექსპლოატაციას და ამით ძირიანათ ეწინააღმდეგება პიროვნების ბედნიერების პრინციპს. კარლოს მოორის უწმიდეს მიზანს ადამიანი შეადგენს, ადამიანთა შორის ერთათ ერთ კავშირათ მას მხოლოთ სიყვარული, ერთობა და ძმობა მიაჩნია; ასეთ კავშირზე მას უნდა აღმოაცენოს სრული თანასწორობა და თავისუფლება. რათ ეტრფის ის თავისუფლებას და თანასწორობას? იმიტომ რომ მისი ღრმა რწმენით მხოლოთ თავისუფლება და თანასწორობა ბადავს სრულ ადამიანს, მხოლოთ თავისუფლება და თანასწორობა უწყობს ხელს ადამიანის გონებრივათ და ზნეობრივათ ამაღლებას. არსებული საზოგადოებრივი წყობილება კი მოორის აზრით სრულებით წინაამდეგ გზას ადგია: აქ ადამიანში ყველა ხედავს მხოლოთ საშუალებას თავისის კეთილდღეობის მოწყობისას, ადამიანთა შორის მხოლოთ მტრობა და გაუტანლობაა, საზოგადოებაში თავისუფლებისა და თანასწორობის მაგიერ სრული მონობა და უთანასწორობა მეფობენ. მოორი მტერია ჩვეულების, ტრადიციების, საზოგადოებრივი წყობილებისა და კანონების, ის მიისწრაფის სრული თავისუფლებისაკენ, მაგრამ როგორ შექმნას, როგორ და მყაროს ეს თავისუფლება, როდესაც მთელ საზოგადოებას თითქოს განგებ მის წინააღმდეგ პირი შაუკრავს? მოორი შეკრებს ისეთ პირებს, რომლებიც იმასავით უკმაყოფილონი არიან არსებული საზოგადოებრივი წყობილებით და და ფიზიკური ძალიანი ე, ი. ბრძოლით ფიქრობს საზოგადოების განახლებას და პიროვნების განთავისუფლებას. მებრძოლი მოორის ლოღიკა ამგვარია: საზოგადოებაში მრავალგვარი ბოროტება, უსამართლობა და სისაძაგლე არსებობს, არიან ისეთი პირნი, რომ-

*) იხ. ,,კვალი'' № 44.

ლუბრც ყოველივე ამას სჩადიან; მაშასადამე საჭიროა ამ პირების მოსპობა და მხოლოთ მაშინ მოისპობა საზოგადოებაში ყოველგვარი ბოროტება უსამართლობა და კეთილი გამეფდებაო. მოორი ასეც ირჯება; ის გამოდის ავაზაკთ, მაგრამ ის არ არის ქურდი, მტაცებელი მცარცველი,—ის იცავს დაჩაგრულს დამჩაგვრელისაგან, ის ართმევს მდიდარსა და ღარიბს ამლევს, ის კლავს ვეკილს, რომელიც ფულის გულისათვის ყოველგვარ სისაძაგლესა და ბოროტებას ესარჩლება; ის კლავს მინისტრს, რომელიც ფლიდობით ამაღლდა და პიროფერობითა და ქვრივ-ობლების ცრემლებზე აშენებდა თავის ბედნიერებას; ის კლავს გავლენიან მოხელეს, რომელიც ადგილებს მათ ურიგებს, ვინც მეტ ქრთამს აძლევს; ის აღრჩობს მღვდელს, რომელიც თავისი მრევლის წინაშე ინკვიზიციის გადავარდნას იგლოვს. რამდენათაც უფრო იდეალისტია მოორი, რამდენათაც უფრო წყურია მას, რომ საზოგიდოებრივი წყობილება სამართლიანობაზე იყოს აგებული და ადამიანი ბედნიერი, იმდენათ უფრო გახელებულია ის საზოგადოებრივ უწესრიგობაზე და უსამართლობაზე, იმდენათ უფრო მკაცრი და დაუზოგავია. ის საზოგადოებრივი სამართლიანობის მტრებთან ბრძოლაში რითი თავდება მოორის ბრძოლა? ნეკზე კბენითა და სრნანულით! უკანასკნელის მოქმედების დასასრულში ის თვალ-ცრემლიანი შემოგვტირის: მე შევურაცხყოფე კანონი, შევლახე წეს-რიგიანობა. მე ვოცნებობდი ქვეყანა ბოროტებით გამესწორებია, კანონები უკანონობით დამეცვა. ახლა მესმის, რომ ორი ჩეკისთანა ადამიანი მთლათ დაამხობს ზნეობრიობის სამფლობელოს. მხოლოთ შენ შეგფერის ღმერთო შურისძიება, ადამიანის ხელი შენთვის საჭირო არ არისო, ათავებს მოორი, მთელ თავის ოცნებასა და მოქმედებას ბავშურ თავქარიანობას უწოდებს და თვითონვე გარბის პოლიციასთან, რომ გამოისყიდოს თვისი დანაშაული კანონისა და საზოგადოებრივი წესრიგიანობის შესახებ. ძრიხამ იწველა, იწველა, ბოლოს კრა წიხლი და დაიკიცა, სწორეთ ზედ გამოჭრით შეეფერება ეს ანდაზა შილლერის გმირს. ის გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, არსებული საზოგადოებრივი წყობილება, ურთიერთობა, კანონმდებლობა და სხვ., პიროვნების განვითარების მტრათ აღიარა, დაიწყო ბრძოლა ახალი წყობილების დასამყარებლათ და გაათავა მით, რომ თვითონვე ქედი მოიდრიკა არსებული წყობილებისა და იურიდიული ნორმის წინაშე; მაპატიეთ, ბავშობა მომიკვდა, სისულელე ჩავიდინე, რაც გასასწორებელია ცხოვრებაში, თვითონ ღმერთი გაასწორებს, ადამიანის რა საქმეაო! თუ კი სიტყვას, თუ კი ახალ აზრს რაიმე გავლენა აქვს საზოგადოებაზე, ავაზაკების გავლენას და მნიშვნელობას ძალიან ასუსტებს კარლოს მოორის უკანასკნელი და მასთან მოულოდნელი რევერანსი.

თავის დრამის ეპიგრაფათ შილლერმა აიღო ჰიპოკრატის სიტყვები: რასაც წამალი ვერ კურნავს, რკინა ჰკურნავს, რასაც რკინა ვერ ჰკურნავს, ცეცხლი ჰკურნავსო. ამგვარი ეპიგრაფი ცხადათ ატყობიებს მკითხველს, თუ რისი თქმა უნდოდა თავისი დრამით შილლერს. საზოგადოება მას მიაჩნდა სნეულათ, ამ სნეულის განსაკურნავათ ყველაზე უფრო ძლიერი, ყველაზე უფრო რადიკალური წამალი იყო საჭირო; ასეთ წამლათ მოორმა და მასთან ერთათ ახალგაზრდა, გატაცებულმა და აღფრთოვანებულმა შილლერმა აღიარეს ფიზიკური ძალა და მედგარი შეუბრალებელი ბრძოლა. ამ ბრძოლამ ვერ დააკმაყოფილა ვერც მოორი, ვერც შილლერი; მოორის სინანული და სასოწარკვეთილება იმის მაჩვენებელია, რომ თვით შილლერმა ვერ გადაჭრა საბოლოოთ ის საკითხი, თუ როგორ და რა გზით შეიძლება დასნეულებული საზოგადოების განკურნება. მიუხედავათ იმისა, რომ მოორი გაბრაზებული და გაშმაგებული ღირის სისხლს იმ იმედით, რომ საზოგადოება ბოროტთაგან განიწმინდებაო, თავის სულის სილრმეში ის გულჩვილი, უბოროტო, გრძნობა ... კაცთმოყვარე იდეალისტია. სისხლის ღვრას შესაძინელი ... გიც რომ მოყოლოდა, ბოლოს ის მაინც სასოწარკვეთილებას მიეცემოდა, რადგანაც მას არა რწამს ის კეთილი, რომელიც სისხლით არის ნაყიდი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მოორის მიერ სისხლის ღვრას არც პიროვნება განუთავისუფლებია, არც საზოგადოება განუწმენდია ბოროტისაგან: ათი და თუნდა ათასი მავნე პირის მოკვლა განა სიკეთისა და სამართლიანობის სასუფეველს მოავლენს ქვეყნათ? ამისი იმედი ქონდა მოორს, როდესაც ავაზაკთა წინამძღოლობას კისრულობდა და სწორეთ აქ არის მისი დიდი შეცდომა. თუ საზოგადოებაში სხვა და სხვა ბოროტება, უსამართლობა და ძალმომრეობა ხდება, ყოველივე ამას მხოლოდ ერთი სათავე აქვს; ვისაც უნდა ყველა ამ ბოროტების, უსამართლობის, ძალმომრეობისა და სხვ. მოსპობა, უმალ ამ სათავეს უნდა მიაშურის, ეს სათავე უნდა გაფანგრიოს. მწარე ბალახს რაც უნდა ფოთლები აგლიჯოთ, ამით მას ვერ მოსპობთ: მოგლეჯილს ალაგას ახალი ფოთოლი ამოყოფს თავს; მიაჭერეთ მას ძირი და ფოთლები თავისთავათ გახმებიან. სწორეთ ეს დაავიწყდა კარლოს მოორს. თუ მე XVIII საუკუნეში გერმანიის საზოგადოება დასნეულებული იყო, რა სხვა და სხვა უსამართლობასა და ბოროტებას გაეკეთებიათ თავისი ბინა, უსამართლო ვექილების, მეკრთამე მოხელეების და კუდაბზიკა კარისკაცების მოკვლა არავის და არაფერს არ განკურნავდა. კარლოს მოორს უნდა მიეტანა იერიში თვით გერმანიის მონარქიულ მთავრობაზე, რომელიც აკანონებდა მრავალგვარ საზოგადოებრივ უსამართლობასა და ძალ-მომრეობას,—მხოლოთ მაშინ მოიტანდა მოორის ბრძოლა ნაყოფს, მხოლოთ მაშინ დაემხობოდა არსებული წყობილება, მხოლოთ მაშინ გაიმარჯვებდა სამართალი. კიდეკ რომ ქონდა მოორს შეგნებული, თუ სად იყო უმალ იერიშის მიტანა საჭირო, ის მაინც ვერაფერს ვერ გახდებოდა; ვერ გახდებოდა იმიტომ, რომ მიუძღოდა ერთი მუქ ავაზაკებს, რომლებსაც არც კი ქონდათ შეგნებული თავისი წინამძღოლის მიზანი და მისწრაფება, მას თვით ხალხი უნდა უნდა გამოეყვანა მებრძოლათ, უნდა აეხსნა მისთვის, რომ საზოგადოებრივი უსამართლობა, ძალმომრეობა და ბოროტება მხოლოთ მას აწვა მძიმე ტვირთათ, მხოლოთ ამგვარ შემთხვევაში შექმნიდა ის უკეთეს საზოგადოებრივ წყობილებას და, თუ სსოწარკვეთილებას მიეცემოდა, ბულს იმით მაინც ინუგეშებდა: მიზანს ხომ მივაღწიეო.

კარლოს მოორის იდეალურ მისწრაფებას შილლერმა გვერდში დაუყენა ფრანც მოორის ეგოისტური, მატერიალური მისწრაფებანი, რომ ამით უკეთ დაენახა მკითხველს პირველის მიმზიდველი სიმშვენიერე და მეორის საზიზღარი სისაძაგლე. მიუხედავათ იმისა, რომ ფრანცი ჩინებული ნიჭისა და ძლიერი ლოდიკის პატრონია, ის საზიზღარია მთელი თავისი არსებით. საზიზღარია თავისი სურვილებით. ფრანცში შილლერმა დაჰგმო ყველა, ვინც კი მხოლოთ დედამიწას დაჩერებია და ვარსკვლავებისაკენ არასოდეს არ იყურება, ვინც აწმყოთი კმაყოფილია და უკეთეს მომავალს არ შეტრფის, ვისაც არავითარი წმიდათა წმინდა არ გააჩნია თავისი კუჭის გარდა. თავისი პირველი დრამით შილლერმა გამოუცხადა საზოგადოებას: ის ვინც საზოგადოებას არ ემსახურება, ის ვისაც პირათ ინტერესზე უფრო საზოგადო ინტერესი არ ახსოვს, ის ვინც უკეთესი წყობილების მოახლოება და პიროვნების ამაღლებას არ ემსახურება, ადამიანი არ არისო.

„ავაზაკები“ საუცხოო დამამტკიცებელია იმისი, რომ

შილლერის ბუნება ორათ იყო გაყოფილი: რამდენათაც ის რევოლუციონერი იყო აზრში, ოცნებაში, იმდენითვე სრული კონსერვატორი პრაქტიკაში. მას უნდოდა საზოგადოების განკურნება, პიროვნების განთავისუფლება და ამაღლება და ამავე დროს სურდა, რომ კანონი და წესრიგიანობა არ დარღვეულიყო. ამგვარათ თუ შილლერი შეუდარებელია ოცნებაში, პრაქტიკულ ცხოვრებაში ის ბურჟუაზულ მორალს ვერ აცილდა. ამით იხსნება მხოლოთ, თუ რათ გმობდა ეს დიდებული პოეტი თავისი დროის დიდებულ მოვლენას—საფრანგეთის რევოლუციას.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

ლიტერატურა და ეკონომიური პირობები.

ერის გონებრივ ცხოვრებაზე, ვაჭრობამაც იქონია გავლენა. ვაჭრობა-აღებ-მიცემობის აყვავების ეპოქაში ფრანგთა ვაჭრები მოგზაურობენ დედა-მიწის ზურგის ყოველ მხარეებში, ცვლიან თავიანთ ნაწარმოებს სხვისაზე და აარსებენ საფრანგეთის ახალშენებს ყველგან. საქონლის გაცვლა-გამოცვლა იწვევს იდეათა გაზიარებას, მუდმივი მისვლა-მოსვლა უცხო ხალხთა შორის ამზადებს და ქმნის ზოგიერთ შემთხვევაში რასსათა არევ-დარევას. უცხო ერებთან მისვლა-მოსვლით, რომელთაც სულ სხვა კანონები და ჩვეულებები აქვთ, ფართოვდება გონებრივი ჰორიზონტი, ეძლევა ნიჭი ახალ იდეაია გადმონერგვისა, ნაციონალური თავ-მოყვარეობა კარგავს თავის გულ-უბრყვილო თვისებებს.

ვაჭრების სიყვარული მოგზაურობისადმი, თანდათან იმაგრებს ფესვს ერის სხვა და სხვა კლასებში, ვაჭრობა აღვიძებს, აჩქარებს ხალხის მოძრაობას ისე, როგორც სირბილი ან ჭიდაობა სისხლის მოძრაობას. ვაჭრობა იწვევს უცხო ცივილიზაციის წარმომადგენლებს მსოფლიო გამოფენაზე, და ამით ის ლიტერატურას კოსმოპოლიტურ ხასიათს აძლევს. ჩვენ ვხედავთ პარიჟის სალონებში ამერიკულ ნაწარმოებთან ერთათ ჩინურს, ან იაპონურს ძმობილსავით ამოსჭიმვია გვერდით სიამელი ნაწარმოები. ამის-და-გვარათ ჩვენი ლიტერატურაც იღებს ელფერს მთელი ქვეყნის ლიტერატურისაგან. თქვენ იქ ნახავთ, ჩინურ რომანებთან ერთათ იაპონურს, ან მოგონებას ტაიტზე ან და ცივი ისლანდიის სურათების გვერდით შეამჩნევთ სურათებს ცხელი აფრიკისას. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ქვეყნებში ვაჭრებმა და მკვლევართ შედგეს ყველაზე ადრე ფეხი. ჯარის-კაცნი, ზღვაოსანნი, მწერლები და არტისტები მათ შემდეგ მივიდნენ იქ. ამ გვარათ ვაჭრობა, ვაულო კარი არა თუ საფრანგეთის ნაწარმოებს, არამედ ლიტერატურასაც კი, მისცა მას მასალა და აღაფრთოვანა კი.

ვაჭრობის მნიშვნელობა მარტო იმით არ შეზღუდულა, რომ სიუჟეტებს აძლევდა მწერლობას, არა, იმან შემოიტანა ნიადაგი მოუმზადა მისწრაფებას ფუფუნებისადმი, რომელიც განვითარდა ბურჟუაზიული რეჟიმის ზეგავლენით. ამ მისწრაფებამ ლიტერატურაშიაც იჩინა თავი, ამ დროიდან ლიტერატურა ხდება არა მარტო ხელოვნებათ, არამედ ხელობათაც.

ხელოვნებასა და ხელობას აქვთ ორი სხვა და სხვა მოთხოვნილებანი და მწერალიც ამ ორ მოწინააღმდეგე გავლენებს ემორჩილება.

,,აწარმოვე სწრაფათ და ბევრი, ბრძანებს ხელობა: შენ შენმა მკლავმა უნდა გაცხოვროს, ვინაიდან შენ, შენდა საუბედუროთ, ურენტოთ დაბადებულხარ, შენ, შენი ნიჭით უნდა ივაჭრო, ერთი წიგნის ღირებულება იგივე საქონლის ღირებულებაა, წიგნი ფასდება იმის და მიხედვით, თუ რა ნივთიერი სარგებლობა მოაქვს მას; შენი ბატონ[illegible] საზოგადოებაა, რომელიც შენ ქირას გაძლევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწერე საზოგადოების და არა შენი გემოვნების და გვარათ, შენი გონების ხასწორი უნდა იქითკენ გადიხაროს, საიდგანაც უფრო ძლიერ გიქროლავს ქარი. ერთ და იმავე დროს სწერე ბრბოს მოსაწონი რომანები, სწერე პესსიმისტური ხასიათის წერილები, სასპექტაკლო პიესები და ერთი სიტყვით ყველა ის, რაც დღეს მოდაშია. ამ შემთხვევაში შენ, რა თქმა უნდა, ვერ გამოხატავ შენს იდეებს, გრძნობებს და ბუნებას, მაგრამ სამაგიეროთ არ დაგეკარგება არც დრო და არც შრომა. შენი პროზის ფასი თანდათან აიწევს, ორი შაურიდან ორ აბაზამდე, ამავე დროს შეიძლება შენი სტილიც არ გაუმჯობესდეს, მაგრამ ეს ხომ უმნიშვნელოა. გამოანგარიშებულია, რომ ლარეშფუკოს Maximes-ი დღეს შვიდ-რვაას ფრანკზე მეტი არ ეღირებოდა, ეს ხომ ძლიერ და ძლიერ მცირე ფულია.

ეხლა რეკლამების წერა უფრო სასარგებლოა. როგორც შეკოლადის მეფაბრიკე, დაიარსე, თუ შეგიძლია, სალიტერატურო ქარხანა, სადაც დირექტორათ თვითონ იქნები.

ტენმა თქვა: კაცი მატერიალურ კეთილ-მდგომარეობას, მხოლოთ თავის შრომით მიაღწევს, მაგრამ თუ ის გამდიდრდა, უეჭველათ სხვისი შრომის წყალობით გამდიდრდება.

შენ გადააკეთებ ახალ-გაზდა ლიტერატურულ მუშაკთა ნაწარმოებს და გაავსებ შენი სახელით ჟურნალ-გაზეთებს. შენი შრომა ჩქარა წარმავალი იქნება, მაგრამ შენ ხომ არ ფიქრობ სიკვდილის შემდეგ სახელზე. ხომ ასეა?

შენ შეგიძლია, მთელი შენი ცხოვრების განმავლობაში დაიკმაყოფილო თავი ფუფუნებით, შენი ილლიუზიებით და ლიტარატურაშიაც გამარჯვებული ხარ!! ასე ლაპარაკობს ხელობა.

ხელოვნება სულ სხვას ამბობს. ის თხოულობს დიადსა და, თუ შეიძლება, ახალ იდეებს. ის თხოულობს მეტ შრომასა და გულწრფელობას. ,,ხელოსანია და არა არტისტი ის, ვინც მუშაობს ავტომატიურათ. გძულდეს სიმდიდრე ადვილათ მოპოებული, უაზრო, ქარაფშუტული რომანების და პიესების წერით. თუ ბედნიერებას ეძებ, თავ-და-პირველათ შენ შენს თავს უნდა ეკუთვნოდე, ილაპარაკე მხოლოთ ის, რასაც ფიქრობ და გამოსთქვი ის ნათლათ და მკაფიოთ, პატივი ეცი შენს ნიჭს, მცოდნე კაცთა პატივისცემა გერჩივნოს უგუნურთაგან გუნდრუკის კმევას და ფულებს. ამაყათ გადაიტანე შენი სიღარიბე, დასცინე ულირსი საშუალებით მოპოებულ გამარჯვებას; მე შენ ვერ დაგპირდები ფულით გამდიდრებას, მაგრამ შენ მიიღებ წმინდა და ღრმა კმაყოფილებას მით, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში სცდილობდი გამოგეხატა შენი საკუთარი ოცნება სიმშვენიერეზე.

თანამედროვე მწერალს მუდამ ეს ორი ხმა ესმის.

(შემდეგი იქნება).

ქართული თეატრი

წარსულ ხუთშაბათს წარმოადგინეს კომედია «პედაგოგები» თხზულება ოტტო ერნსტისა, თარგმანი დ. ნახუცრიშვილისა. ეს პიესა შარშანაც იყო წარმოდგენილი ქართულ სცენაზე და უნდა ვსთქვათ, რომ თითქმის იმავე ელფერით ჩაიარა ამ პიესამ, თუ არ აღვნიშნავთ უფრო ხელოვნურ თამაშს კ. მესხისას სახალხო სკოლების დირექტორის როლში, და უფრო სუსტს თამაშობას მასწავლებელ ქალის როლში ქ-ნ ნ. გამყრელიძისას, შედარებით ქ-ნ ჩერქეზიშვილის თა-

მაშობასთან; რომელმაც შარშან შეასრულა ეს როლი. ქ-ნი ნ. გამყრელიძისა, თითქმის ახლათ გამოდის თფილისის სცენაზე პასუხ-საგებ როლებში და იმედია შემდეგში აიცილებს ნაკლულევანებას.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ბ-ნ გედევანოვის კისერ წახრილი თამაში დირექტორის როლში. ამგვარი მისი პოზა და სიარული უნებლიეთ გვაგონებდა მის მიერვე შარშან ნათამაშევ შახის როლს და ამ ორ როლს შუა კი დიდი საზღვარია. ორი სხვა და სხვა როლის თამაში ერთსა და იმავე კილო-მიმხვრებით ვერაფერი ღირსებაა არტისტისთვის.

1 მოქმედებიან ვოდევილმა «დათვი»-მ ვერ ჩაიარა ვ. აბაშიძის ჩვეულებრივ მხიარულ თამაშობით. არც ისაა კარგი, რომ მ. სამსახურე ბიჭი გახვეული ანაფორასავით ქართველ გძელ ჩოხაში იმერული კილოთი ლაპარაკობდა ხან და ხან.

წერილი რედაქციის მიმართ.

საშინელ ტალსა გვწამებს ვიდეც სანდრო „ტნ. ფურც". № 1944-ში, ვითომ ჩვენ შეტორმაში შეგვუყვანდეს „კვალის" მკითხველები, როცა სამტრედიელ კორესპონდენტის ლადო ბზვანელის შესახებ ვთქვით ორიოდე სიტყვა „კვალში", რომელიც სამტრედიის სამკითხველოს და სხვა სახოგადო საქმეების გაკეთებას მიერთხეშვილს და ბ. მახარაძეს აწერდა. ლადო ბზვანელს კი დამტველთ გაუხნდა ვიდეც სანდრო და მორთო ეგირიდი: ჩვენა ვართ და ჩვენი შეკობრები სამტრედიის განმანათლებელნი, ნალბანდიშვილს ეს არა სტოდნია და „კვალის" რედაქცია შეტორმაში შეეყვანო. დასაძტკიცებლათ მისგან და მისავე შეკობრებისაგან გაზეთებში დაბეჭდილ კორესპონდენტიებზე გვით�eებს, სადაც საკვირაო სკოლის, ქსენონის, საქალაქო სკოლის და სამკითხველოს დაარსებას შეკობრულთ ერთი შეორეს აწერენ. ვთქვი და ვიმეორებ კიდევ, რომ საკვირაო სკოლა ჩვენ არ გვაქვს, თუმცა მის დაარსებისათვის „კვალის" 6 №-ში მასწავლებლებმა მადლობა მიიღეს. გვიკვირს, რომ ამ მასწავლებლებმა საქმის გაუკეთებლათ ეს დაუმსახურებელი მადლობა შეიფერეს და არა თქვეს რა!..

ქსენონის შესახებ ვამბობდი; მართალია იეო ერილობა, მაგრამ საქმე სამწუხაროთ ამ ერილობითვე გათავდა შეოქი. სამკითხველოს არსებობა სამტრედიაში არ ახალია ძველია, მაგრამ სამი თუ ოთხი წლის წინათ სხვა და სხვა მიზეზთა გამო გამოესალმა სიცოცხლეს და შემდეგში ვაჭრებმა აღადგინეს და წლიურათ 100 მან. დაუნიშნეს; შემდეგ, რა კი შენიშნეს, რომ ეს ფული არ ეოფნის სამკითხველოსო, ერთი ამდენი კიდევ მიუმატეს. ახლა, ერთი გვიბრძანეთ, რა შუაშია აქ ლადო ბზვანელის დასახელებული გმირები? მაგრამ მოგესსენებათ, შეკობრობა და ნათლ-მირონობა ბევრ რამეს ჩაადენიებს კაცს და, რა უეოთ, თუ ამისავე წესლობით სანდრო-ლადოებმა თავიანთ მეკობრეს ქსენონი და საკვირაო სკოლა დაარსებიეს. მართალია ჯერ არც ქსენონი გვაქვს და არც საკვირაო სკოლა, მაგრამ ეს არაფერია. გაზეთებში ხომ დაიწერა და...

ნალბანდიშვილი.

ქ-ნო რედაქტორო! „კვალის № 39-ში და „ცნობის ფურცლის" №1943 ში დაბეჭდა ჩემი და ალ. ილიაძის კორესპონდენტიები ს. ინეოთიდან. ამ კორესპონდენტიების შესახებ ბ-ნ თავმჯდომარეს ინეთის სკოლის ამმენებელ კომიტეტისას იოსებ ივ. კოხრეიძეს წერილი დუბეჭდია ცნობის ფურცლის №1953-ში ბ. იოსებ კოხრეიძე ბრძანებს,—ამ კორესპონდენტიებში ერთი და იგივე ტეუდილი აჩრა გატარებულიო. ინეოის სკოლის შენობა 3000 მ. კი არა 4765 მ. გვიჯდებაო და ჩვენ მთავრობამ 1000 მანეთზე შეტი შემწეობა აღგვითქვაო. ამას გარდა ი. კოხრეიძე დასძენს: „ამის შესახებ არაფერს ვიტეოდი, მაგრამ ვშიშობ, ვაი თუ ასეთმა უსაფუძვლო ხმების დიერამ ამ კეთილ საქმეს ხელი შეგვაშალოსო". რადგან ბ. იოსებ კოხრეიძეს ამ წერილით ჩვენ კეთილი საქმის ხელის შემშლელი გამოგვაჩინა თავ ვითომ [illegible] ბებს უნდა ვაწვდიდეთ გაზეთებს, ამისათვის უმორჩილესი გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ნება გვიბოძოთ თავი კიმართლო. რასაც ბ. იოსებ კოხრეიძე ბრძანებს ეს ისე არ არის. საქმე შემდეგშია.

სანამ სოფელი ამმენებელ კომიტეტს ამოირჩევდა, მანამდის ბ. იოსებ კოხრეიძემ შეადგინა წკოლის შენობის გეგმა და წარუდგინა სასოფლო სკოლების ინსპექტორს და მომხსენა: ამ გეგმის შენობა რომ ავაშენოთ, მთავრობა რამდენს შემოგვეწევაო ინსპექტორმა აღუთქვა 1000 მ. შემწეობა და თან მოწერილობა გამოატანა, რომ სოფელიც დარწმუნებულიეო. ბ. იოსებ კოხრეიძემ თავის პირით ამცნო სოფლს მთავრობის შეპირება, მოწერილობაც უჩვენა და ისიც უთხრა:—რადგან მთავრობა ამდენს გვეწევა, თქვენი ბრალია ბევრი არ დაგეზარდებაო და კითხა საზოგადოებას—რამდენი შეგიძლიათ გამოიღებიო. სოფელმა დიდი დაფიქრების შემდეგ გადასწყვიტა 2000 მანეთის გამოდება. 1000 მ. ფულთ და 1000 მანეთიც ძველი შენობის დათმობით. მეტი არც ჩვენ გვინდაო, არწმუნებდა სასოფლო ბ. ი. კოხრეიძე. სალხმა ამოირჩია ამმენებელი კომიტეტი, მაგრამ გამოუცხადა, რომ სანამ 1000 მანეთის შემწეობა არ მოგვიკა, მანამდის შენობას კერ დავიწყებთო. ამ გვარათ საქმე დადგა ეს და უნდა წარედგინათ დასამტკიცებლათ. ამ დროს ინეოის სკოლის მასწავლებელმა სასოფლო სკოლების ინსპექტორისგან მიიღო ოფიციალური მოწერილობა:—წარმოადგინეთ ეოველივე საქმეები სკოლის შენობის შესახებ და თხოვნა შემწეობის აღმოსაჩენათო, მხოლოთ 1000 მანეთზე მეტი არ ითხოვოთო. მასწავლებელიც ასე მოიქცა და საქმე ამით გათავდა. ესლა ბ. იოსებ კოხრეიძე ბრძანებს: „შენობა 4765 მ. გვიჯდებაო და მთავრობა 1000 მანეთზე მეტს შეგვეწირდაო. ზეპირე თქმულიდან ნათლათ ჩანს, რომ შენობა 3000 მანეთზე მეტი არ უნდა დაგვჯდომოდა და არავინ 1000 მანეთზე მეტს არ დაგვეწირებია. ბ. კოხრეიძეს მიერ ხარჯთ-აღრიცხვა ხომ არ ამტკიცებს იმას, რომ გინმე დაეწირებოდეს 4765 მ?! მე და სხვებმაც ის დავწერეთ, რაც სალხის წინაშე თვითონ იოსებ კოხრეიძემ იდაბარაკა და რაც სალხმა და მთავრობამაც აღუთქვა სკოლას ე. ი. 3000 მან. და არა 4765 მან.

ა. ნაცვალი.

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთ „კვალ"ს საშუალებით უდრმესი მადლობა გამოუცხადო ბბ. ოთომ ლომ ნაძეს, ნოე ჩხაიძეს და კონსტანტინე სიორიძეს, ამომლებმაც შემოგროვეს თავიანთ ნაცნობებთა შორის 17 მანეთი და მით საშუალება მომცენ გადამესადა სწავლის ფული ბათომის გიმნაზიაში.

ბათომის გიმნაზიის მოსწავლე
გაბრიელ მგალობლიშვილი.

რედაქტ.-გამომც. ან. ო.-წერეთლისა.

ვ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

პარასკევს, 8 ნოემბერს,
ქართულ სათავად-აზნაურო თეატრში
ხარკოვის ოპერის არტისტების მიერ

ქალთა მოგმაკალი სასწაულიშვილის

სასარგებლოდ გაიმართება

ო პ ე რ ა.

ტელეფონი 617

ᲓᲘᲚᲘᲡ ᲘᲐᲤ-ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲜᲔᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ 1902 წ.

ქართული დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ᲓᲐᲙᲚᲝᲔᲒᲣᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲒᲘᲗ

ᲛᲔᲝᲠᲔᲗ ᲒᲐᲣᲧᲐᲠᲕᲘᲚᲔᲑᲐ

დრამა 4 მოქმედ., გადმ. თ. დ. ერისთავის მიერ.

II.

ᲓᲣᲔᲚᲘ

ვოდ. 1 მოქ., გადმ. ნ. გალუსტოვის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქალნი: ნ. გაბუნია-კაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარაბეკელი, ოლ. ლეკაა, ნ. რონელი; ბ ნნ: დ. აწყურელი, კ. გაბეჭრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. შარიოშკელი, სარკველიძე და სხვ.

ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ლოჟეები 4 მანეთიდან 8 მან.-დე; პარტერი 50 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, ამფიოეატრი 60 კ.-დან 80 კ.-მდე; გალერეა 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲨᲣᲐᲓᲦᲔᲡ 12 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

ᲛᲮᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲗ „ᲮᲐᲓᲘᲡ ᲛᲭᲠᲐ“ ᲓᲔᲜᲐᲤᲮ.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, ზენესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოაწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროო-დროს მოქმედების შეწყვეტა ბაესს ახდენს და მსახიობსაც აერძალება აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი ᲕᲐᲡ. ᲒᲣᲜᲘᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

(კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ.

ᲓᲘᲦᲘᲗ:

ᲕᲐᲡ. ᲩᲘᲩᲘᲜᲐᲫᲔ—ᲙᲘᲚᲘᲡ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ, 8—10 საათ.

Ნ. Ტ. ᲛᲔᲯᲜᲘᲐ.—ᲙᲣᲠᲡᲘᲡ, ᲧᲔᲚᲘᲡ და ცხვირის 9—10.

ᲒᲘ. Გ. ᲛᲐᲓᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგან. საშშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.

ᲓᲐ. Ა. ᲙᲐᲛᲭᲘᲩᲘ.—საშარდეს (ქირურგიული) ავათმყოფისათვის: საშშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 01 საათიდან 11-მდის.

Ა. ᲮᲐᲓᲨᲣᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—კბილის სნეულებანი, 11—12.

ᲒᲘ. Მ. ᲔᲚᲘᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგ. და ბავშ. 11—12.

ᲓᲐ. Ს. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ᲕᲘ. Მ. ᲛᲐᲡᲘᲡᲕᲔᲢᲝᲕᲐ—შინაგანი, ნერვების და ბავშვების სამშაბ. და პარასკ. 1—2. კვრაობით—9—11.

Ს. Გ. ᲑᲐᲠᲡᲣᲙᲝᲕᲐ—დედათა სნეულებანი, შაბათ-ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1.

ᲒᲘ. Მ. ᲡᲐᲛᲑᲐᲠᲓᲐᲜᲝᲕᲐ—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2.

ᲕᲘ. ᲒᲠ. ᲡᲝᲑᲝᲚᲔᲕᲡᲙᲘ— ქირურგ. და ორთოპედიული, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 1—3.

ᲡᲐᲓᲐᲨ:

Ა. Ნ. ᲗᲣᲛᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი, 5—6.

Ს. Გ. ᲛᲐᲓᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგანი, ბავშვების და ყვავილა, მიკრო-ქიმიური ბაქტერიოლოგიური გამოკვ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

ᲘᲔᲯᲓᲔᲑᲐ Დ. ᲒᲐᲛᲝᲪ. ᲜᲘᲣᲛᲔᲠᲨᲘ 1903 ᲬᲚᲘᲡ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ“

Ვ. ᲒᲣᲜᲘᲐᲡᲘ.

გამოც. ქართველთა შორის წ.-კითხვის გამკრც. საზოგადოებისა. კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოელების ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა საკალენდარო ცხოვრებისა საერო-ტერატურო განყოფილებაც.

მიიღება გაწერა კალენდარში დასაბეჭდად შემდეგის პირობით:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მ., 1/2 გვ.—6 მან.; კალენდრის ბოლოში—1 გვერდი—7 მან., 1/2 გვ.—4 მ., 1/4 გვ.—2 მ., მარტო ადრესის გამოცემა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ

ᲤᲗᲘᲚᲘᲡᲨᲘ—ქ. შ. წერა-კითხვის გამკრც. საზ. კანცელარიაში.
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—ვ. ბეჟანიშვილთან და მ. ლადაძესთან.
ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ—მ. ნაკოლაძესთან და ეკ. ზელიმესთან.
ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ გამოვა „ქართ. შ. წ.-კითხ. გამკრც. საზ. გამოც.

ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА

НА

ежедневную газету политики, литературы и общественой жизни

КУРЬЕРЪ

(V ГОДЪ ИЗДАНІЯ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на 8 мѣсяц. 2 руб. на 2 мѣсяц. 1 руб. 40 коп. на 1 мѣсяц. 75 коп.

Для учащихся въ высшихъ учебн заведеніяхъ на 1 м. 60 к.

Переходъ изъ годовыхъ подписчиковъ по разсрочкѣ въ полугодовые или на другіе сроки не допускается.

Прежніе подписчики, при возобновленіи подписчики, благоволятъ прилагать бандероль, подъ которой они уже получали газету.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 ноября, 1902 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ძმ. თავგორქილაძისა. სერგიევის ქ., № 1.